



ილორი



№ 9 (79) 7 აპრილი 2009 სანსალსო მოქრათვა "სამეგრელოს" ტრანსო 50 თეთრი

რედაქტორის გვერდი

უიუი 2



**რა სცენარით
ესდება
ხელისუფლება
9 აპრილის
აქციების
განიიჭრალებას**

3

კორნელი ბორთხიანი
**სამეგრელო
და
სვანეთი**
1854-1861

9-10




**ამის
დაკარგვის.
ან
დავიწყების
უფლება
არც რუსსა
აქვს და არც
ქართველს!**

ნაწევრები ვ.ველიცკოს
წიგნიდან "გაშვასია"

6

მაფალუ 8

მაფალუ არის ჯგუფი, რომელიც ცდილობს ზეპირ გადმოცემათა ლეგენდებით და სხვაგვარ საღაროდ პოეზიის შევსებას მეცნიერებისათვის და ეს ცილისწამება, რომელიც მიაწერეს ამ ჯგუფს სრულიად უსაფუძვლოდ სინამდვილის გადაჭარბებით გაუგიათ.



სსონის სტრიქონები

ნაწევრებას მიზნულ ენაზე შემნილი ისტორიული პოეზიიდან "გულატი", რომლის ავტორი ბახლავთი თანამედროვე გამომცემი და ზემოაღიტი პოეტი დანიელ პავლეს ძე შიშია, ბიბლიკოსტი ბაზეთი "ილორში". 113-ე წელი ილუმა პოეტის დაბადებიდან. იგი 28 წლის ასაკში შეიწირა პოლიტიკურმა უამილოებას - სამშობლოს სიმპარულით გამსგვალული ბულანთიული პატრიოტი 1924 წლის თებერვალში დააკატირეს იმის გამო, რომ საბარათველს დემოკრატიული რესპუბლიკის არსებობის დროს იყო ზუბიდის სამაზრო პოეტიტის პასუხისმგებელი პროკატანდისტი. დააკატირებისას დანიელ შიშია თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მესამე კურსზე სწავლოვდა.


**დავით ქობალია
სამეგრელო
1990-იან
წლებში 4**



**ვინ და რატომ
ქბრძვის
პატრიარქს? 7**

ისტორიული მასალები

**სამეგრელოს 5
სამაყო
შვილები**



აყაყი ხონიავა

ბაზეთი "ილორი" აქვეყნებს წერილებს ციკლს, რომელიც ასახავს ფეხბურთში მსოფლიო ჩემპიონატების შინაღურ ბატალიებს.



**ურწუნო
აღამიანი
მართობისას
მსოფლიო
სიკვდილზე
ფიქრობს... 11**

მართლაც დიდი ძალა ჰქონია შიშს, უფრო სწორად – დიდი თვალები!

ომახიანად იყენენ, ვიდრე ხალხის აშკარა რისხვას წააწყდებოდნენ, პოლიტიკური თამაშები ხალხთან თამაშად გადააქციეს, რაც შეიძლება ძალიან ძვირად დაუჯდეთ **“ნაციონალებსა”** და მათ დიდერს.

ყოველგვარი რესურსი ამოვურა ხელისუფლებას, საქურდავიც არაფერი დარჩათ და დიდი სიამოვნებით წავიდოდნენ ხელისუფლებიდან, მაგრამ თავისი გარემოცვის ტყვედ ქვეული პრეზიდენტი ვერასოდეს გადადგამს ასეთ ნაბიჯს, რადგან უპირველესად ის გარემოცვა მოუღებს ბოლოს, რომელიც პრეზიდენტში ნაქურდალ-ნაოხრალის შერჩენის ერთადერთ გარანტს ხელდას.

ამიტომ, სააკაშვილისაგან თუნდაც იოტისოდენა პოლიტიკური დათმობა მას შეიძლება ძვირად დაუჯდეს.

ამიტომ, ერთმანეთს შიშით შესცქერა პრეზიდენტი და მისი გარემოცვა – გაგუბაში არ არის, თუ პირველად ვინ ვის უღალატებს და თავის გადასარჩენად ქვეყნიდან გადაიხვეწება.

როგორც ექიმები ატყვიან, შიშის ელდამ თურმე კუჭის აშლა იცის. ალბათ ამიტომაც გახდა ძნელი საშოვნო აფთი-აქტში კუჭის აშლილობის უპირობო წამალი – ლეომიციტინი.

ხუმრობა იქით იყოს და, ხელისუფლების დიდ თუ პატარა წარმომადგენლებს აშკარად ეტყობათ შიშის ზაფრად, რადგან ყოველი მათი სატელევიზიო გამოსვლა თუ სხვადასხვა დონის ფიარკამპანია ფაქტურად თავის მართლუბა და ხალხისადმი თხოვნა, რომ კიდევ მისცენ დრო მდგომარეობის გამოსასწორებლად. თუმცა, უკვე ექვსი წელიწადი გაილია **“ვარდების რევოლუციის”** გზით მათი ხელისუფლებაში მოსვლის დღიდან და ხალხისა და ქვეყნისათვის სასარგებლო და ხელსაყრელი არაფერი გაკეთებულა.

პენსიები გაეზარდეთ! – გაიძახიან **“ნაცები”**.

კი ბატონო, პენსიები და შემწობები 20-30 პროცენტით გაზარდეს, მაგრამ მინიმალური სამომხმარებლო კალაისი დირე-ბულება რომ თითქმის 80 პროცენტით გაიზარდა, ამაზე კრინტს არ სძრავენ.

ხალხი ჯერ კიდევ ჩუმდება, რადგან მოთმინების ფიალა საბოლოოდ არ აესება. თვითკმაყოფილი **“ნაციონები”** კი თვლიან, რომ საზოგადოება ვერაფერს ხედავს და ძველებური შემართებით აგრძელებენ ქვეყნის ყველა-გაჩანაგებას. თუმცა, ხელისუფალთ ხალხის სინუმიცა ეშინიათ, ამიტომ, განრისხებული თანამოქალაქეებისაგან თავი დასაცავად რომ ვერაფერი მოიფიქრეს, საქართველოს პარლამენტის შენობის პირველი და მეორე სართულის ფანჯრებს რკინის ცხაურებში სვამენ, აქაოდა, აღელვებული ხალხი პარლამენტში არ შემოვიცივადეს და არ გაგვერკონო.

იცინა, რომ ძალადონები კვლავინდებურად აღარ აღმართავენ ხელს განრისხებულ ადამიანებზე და ახლა რაც შეიძლება დრმა სორიებს თხრიან საკუთარი უბადრუკი სახელისუფლებო ყოფის გასახანგრძლივებლად. უპირველესად, თანამოქალაქეებს სთხოვენ ქვეყანაში პოლიტიკური სტაბილურობის დაცვას. საქართველოს სამარცხვინო ხელისუფლების მენტალიტეტიდან გამომდინარე, ხალხისადმი სიმშვიდისაკენ მოწოდება ასეთ უღერადობას იძენს: **“მე მოგპარავ და გაგალატებ, შენ კი ხმა არ ამოიღო, თორენ ქვეყანა აირევაო!”**

მაგრამ, როგორც ჩვენ დიდი წინაპარი ამბობდა, **“შიში ვერ იხსნია სიკვდილსა...”**

სიკვდილის შიში (არა აქვს მნიშვნელობა – პოლიტიკური თუ ფიზიოლოგიური) არ ასვენებს ხელისუფალს შინ და გარეთ. ამიტომ, ქვეყნის პირველი პირის პირად უსაფრთხოებას საკმაოდ დიდი შეიარაღებულ ქვედანაყოფი იცავს. ის დრო მახსენდება, როცა საქართველოს კომპარტიის ცეკას პირველი მდივანი ვასილ მუჟანაძე ფეხით დადიოდა სამხაურში ყოველგვარი დაცვის გარეშე და მოწიწებით ესალმებოდა შემხვედრ ადამიანებს. შემდეგ, როცა საქართველოს თავზე

რედაქტორის გვირდი
შ ი შ ი

წამოასკუბდა სააკაშვილის სულიერი მამა და პოლიტიკური ორიენტირი ელუარდ შევარდნაძე, მან იცოდა რომ, როგორც პოლიტიკური ფიგურა არაფერს არ წარმოადგენდა და დაცვის სპეციალური კორტეჟი რამდენიმე მანქანამდე გაზარდა, რითაც ხალხს იმის ილუზია შეუქმნა, რომ რახან შევარდნაძეს ასე გაძლიერებულად იცავენ, საჭირო და აუცილებელი კაციაო.

დღესაც ამ ინერციით მოდის სახელმწიფო აპარატი – რაც უფრო მეტი ხალხი გიცავს, მით უფრო სჭირდება ქვეყანას. მაგრამ, ის აღარ ახსენდება, რომ ჯოხს ორი ბოლო აქვს და ხალხმრავალი დაცვა მეორენაირი ლოგიკით იმას ნიშნავს, რომ დიდად მიუღებელი და საზიზღარი პიროვნება ხარ ქართველი ხალხის თვალში და აღელვებულმა ადამიანებმა სადმე რომ არ მიგასრისონ, ამიტომაც გჭირდება აძლენი შეიარაღებული დამცველი.

ახლა კი, აღარ იციან რომელ კედელს ეცნენ, და ხალხის მოსალოდნელ რისხვას ხან რუსეთის პოლიტიკას მიუსადაგებენ ხოლმე – აქაოდა, რუსეთმა უარი თქვა საქართველოს სამხედრო ინტერვენციაზე და ახლა ცდილობს, რომ შიდასახელმწიფოებრივი რყევების მეშვეობით გამოცვალოს ხელისუფლებათ. ის კი ავიწყდებათ, რომ საქართველოში ყველაზე დიდი ეკონომიკური ინვესტორი ყველაზე რუსეთია და ინვესტორს არავითარ შემთხვევაში არ აძლევს ხელს დესტაბილიზაცია იმ ქვეყანაში, რომლის ეკონომიკაში მილიონობით სახსრები აქვს დაბანდებული.

სოკრატეს მოწაფე ანტისტენეს თურმე სიცოცხლის ბოლოს რაღაც ავადმყოფობა სტანჯავდა. მის მოსახალსებლად მისულ მეგობრებს ერთხელ თურმე შეკითხვით მიმართა:

– ვინ გამანთავისუფლებს ტანჯვისაგან?

ერთმა მეგობარმა უსიტყვოდ გაუწოდა ხანჯალი. ანტისტენემ უპასუხა:

– მე ვთხოვეთ ტანჯვისაგან და არა სიცოცხლისაგან განთავისუფლება.

საქართველოს არც მთლად ქართული სულისკვეთების მქონე **“ნაციონალური მორაობის”** ლიდერების, ფრიად საკვყო ქართული ეთნიკური წარმომავლობის მქონე ადამიანების გადაძლიერება გვეჩვენება, რომ თითქმის ყველა ახლოზელი თუ შორეული **“მეგობარი”** საქართველოს ხანჯალს უწვდის.

სამწუხაროდ, ეს პარადოქსი უკვე რეალური ფაქტია, რადგან, პროფესორ თამაზ ბუთხუზის სიტყვებისა არ იყოს, **“ნებისმიერი ცივილური ქვეყნის მოქალაქე, ჩვენი მოქალაქისგან თითქმის არაფრითაა გამორჩეული, არც შემოქმედებით, არც შინაგანი პიტენციებით და არც ტემპერამენტით; თუმცა, მათი ერთობა – საზოგადოება, ჩვენთვის დღემდე საოცნებო სისტემას ქმნის. ჩვენ კი...”**

გენიალური გათვლა გააკეთეს შევარდნაძემ და მისმა დამქაშებმა, როცა საქართველოს პრეზიდენტის პოსტზე შემცვლელისა და მათი ხელშეუხებლობის გარანტის ძებნისას გათვლა სწორედ მიხედულ სააკაშვილზე გააკეთეს. მათ კარგად იცოდნენ, რომ სააკაშვილი არაფრით იყო გამორჩეული, პირიქით, საქართველოს ხელისუფლების იუსტიციის მინისტრად ყოფნისას მის მიერ გაკეთებულმა სკანდალურმა განცხადებებმა გარკვეული დამოკიდებულება ჩამოაყალიბა სააკაშვილის მიმართ, რომელიც ერთ სამთავრობო სხდომაზე საქართველოს პრეზიდენტის მაშინდელმა მრჩეველმა თემურ მირიანაშვილმა არც თუ მთლად ღამაზი შედარებებით მოიხსენია.

თურმე რაოდენ დიდი სიმართლე უთქვამს მაშინ ბატონ თემურს, ჩვენ კი ეს საბედისწერო გაფრთხილება ყურად არ ვიღეთ, გაბრაზებული კაცის შეფასებად ჩავთვალეთ, უბრალოდ, გავიცინეთ და სააკაშვილის მიერ გაკეთებული უამრავი არაკორექტული გამონათქვამი დავივი-

წყეთ, რაც შემდეგ ძალიან ძვირადაც დაგვიჯდა.

ყოველივე ეს ქმნიდა იმის რეალურ საფრთხეს, რომ მიხედულ სააკაშვილს საქართველოს მოსახლეობა პრეზიდენტად არ მოისურვებდა, ამიტომ, ძირითადი აქცენტი გააკეთეს სანდრა რულოვსზე, იმაზე, რომ ამ პოლანდიელმა ქალბატონმა მოკლე ვადებში ისწავლა ქართული და მეგრული ენები, რაც საკმარისი შეიქმნა იმისათვის, რომ **“ვარდების რევოლუციის”** ტალღა სწორედ სამეგრელოდან – წალენჯიხის რაიონიდან აგორებულიყო.

კი ვჭამეთ მეგრელებმა მაშინ ეს სირცხვილი, მაგრამ, მეგრელები რომ მეტს აღარ მოტყუვდებიან, ეს კარგად იციან სააკაშვილმა და მისმა გარემოცვამ და ამიტომ ახლა საერთოდ აღარ ათამაშებენ მათ მთავარ კოხირს – ქალბატონ სანდრა რულოვს. ნაცვლად იმისა, რომ ამერიკაში განსწავლულ სააკაშვილს და მის ვეროპელ მეუღლეს საქართველოში ცივილური ვეროპული ღირებულებების დანერგვაზე ეზრუნათ, მათ კიდევ უფრო დაბლა დასწიეს სოციალური აზროვნების დონე.

შემოტანით კი შემოიტანეს, მაგრამ არა ცივილიზაციის მოწინავე მეთოდები, არამედ ყვითელი პოლანდიური ავტობუსები, ხალხი რომ **“სანდრაბუსებს”** ეძახის, ვინაიდან ეს ბიზნესი, რომელმაც დიდი მოგება მოუტანა მის ორგანიზატორებს, სწორედ პირველი ლედის ოჯახის წევრების საკუთრება გახდა.

აი, ამიტომ ეშინია ხალხის რისხვის სააკაშვილსა და მის გარემოცვას!

ანტიკური დროიდან დღემდე, ძველი ეგვიპტიდან დაწყებული და იაპონიით დამთავრებული, ანუ ყველა დროსა და სივრცეში, სადაც, რაციონალურად მოაზროვნე, თავისი ქვეყნის კეთილდღეობაზე მოფიქრად ადამიანთა ძირითადი პრობლემა იყო და არის ისეთი საზოგადოების, სახელმწიფოს შექმნა, რომელიც ამ ქვეყნის ნებისმიერ მოქალაქეში ინტერესს აამაღლებს და, რაც მთავარია, ადამიანს პიროვნულ თავისუფლებას მიანიჭებს. ამიტომ ცდილობდნენ ისინი ისეთი კანონების შექმნას, რომლებიც შინაგანად თავისუფალი ადამიანის კეთილ ნებას შეესაბამებოდა. ეს კანონები შესრულებადი, ბუნების კანონზომიერებასთან შეთავსებადი უნდა ყოფილიყო, ანუ სოციუმის შესაძლებლობის ფარგლებში ჩატეულიყო.

წაკითხეთ ეს სტრიქონები საქართველოს მთავრობის წევრებს, რომლებიც საქართველოს პირველი აღმშენებლის სტატუსს ეპოტინებიან და თუ მრავალი მათგანი რაიმეს გაუგებს მას, ხელს დავდებთ მოსაჭრელად.

გაუნათლებლობას სააკაშვილს ნამდვილად ვერ დასწამებ, მაგრამ საეჭვოა იცოდეს პატრიოტის შეგონება იმის თაობაზე, რომ ქვეყნის სიძლიერე, სიკეთე სოციუმის საფუძვლის შექმნა-დამკვიდრებაზე დამოკიდებული.

მისმა ხელისუფლებამ კი იმდენი უკანონობა ჩაიდინა, რომ სასინდელ ეშინია ხალხის რისხვისა, რადგან იცის, რომ ადამიანები ოდნავადაც არ ენდობიან თავიანთ ხელისუფლებას. ამიტომ მიდიან სახელისუფლებო წრეები ყოველნაირ ინსინუაციებზე. რამდენიმე წლის წინ ქართული პრესა წერდა, რომ ერთხელ, ფოთში ყოფნისას, სააკაშვილი თურმე დაძრულ ტროლეიბუსს შეახტა. აქოშინებული დაცვის ბიჭები ძლივს დაქვივნენ ტროლეიბუსს.

– თენა ჭიჭე ხანგა ხომ ვარე (ეს ცოტა გიჟი ხომ არ არის)? – გადაულაპარაკა თურმე ერთმა ფოთელმა მეთრეს და ტროლეიბუსის კარს მიფარებული სააკაშვილის ფეხებს გააყოლა თვალი.

– ჭიჭე ქორდასნ, მუ მიჭირა (ცოტა რომ იყოს, რა გვიჭირდა)?

ახე იყო, ასე არის, ასე იქნება... ხალხსაც ეშინია თავისი პრეზიდენტი-

სა, მაგრამ, ეს ის შიში არ არის, რომელიც **“სიყვარულს შეიქმს”**. ეს არის იმის შიში, რომ სააკაშვილმა კიდევ რაიმე სამხედრო ავანტიურა არ წამოიწყოს და საქართველოს დარჩენილი ტერიტორიებიც არ გადაულოცოს სხვებს.

დიდი შიში პატარა შიშებს ბადებს.

ეშინიათ მეგრელების, ვაი თუ თბილისი დაისაკუთრონო, იმას კი ერთი წამით არ უფიქრდებიან, რომ გასომხებულ-გაქურთებულ-გათათრებულ-გაუჯიშოებული თბილისის გაქართველებაში სწორედ მეგრელებმა გაიღეს ლომის წილი, საკუთარი სახლ-კარის დათმობის ფასად.

მოდი, ისიც ვაღიაროთ – განა შეიძლება ჭეშმარიტად ქართველი ადამიანის სქენას მეგრულ ენაზე საუბარი ეხამუშოს?

არ შეიძლება!

და თუ ვინმეს მაინც ეხამუშება, მან საკუთარი თავი ქართველობაზე შეამოწმებინოს, რადგან შეიძლება ქართული გვარსახელი ჰქონდეს და ქართულადაც შესანიშნავად საუბრობდეს, მაგრამ გენეტიკურად ისევე არ იყოს ქართველი, როგორც არ არის საქართველოს უმაღლესი ხელისუფლების მრავალი წარმომადგენელი (გარდაცვლილ თუ საეჭვო ვითარებაში დაღუპულ სხვა არაქართველ ხელისუფლებზე აღარაფერს ვამბობ, გარკვეულ ეთიკურ და რელიგიურ მოსაზრებათა გამო).

და რა გასაკვირია, რომ არაქართველებმა ქართველებს დააკარგვიონ ისტორიული ტერიტორიები, თავს მოახვიონ სიღატაკე და ყოველივე ის უზნეობა, რაც ანგრევს ერის ერთიანობას.

დრო პოლიტიკური სისტემის სასინჯი ქვა გახლავდა. ამიტომ უკვე ნათლად გამოჩნდა, რომ თუ ჩვენი ცხოვრების განვლილი ეტაპი ზნეობის უხეში, შეუნიღბავი, ცინიკური უარყოფა იყო, ახლა უფრო საშიშ მოვლენასთან – სიკეთის საბურველში ღამაზად შეფუთულ ბოროტებასთან გვაქვს საქმე.

ანუ, თუ პირველი ეტაპი აღმაშფოთებელი იყო, მეორე მომავლის წინაშე ამაზრზეინი დანაშაულია.

ამიტომ, ვიდრე ელუარდ შევარდნაძე ცოცხალია, ჩვენ მას ვაიძულებთ პასუხი გაგვცეს ერთ შეკითხვაზე – რატომ ჩაუგდო ძალაუფლება ხელში იმ ადამიანებს, ვინც ღამის დაღუპვის პირად მიიყვანა საქართველო?

რა დაუშვა ქართველმა ერმა ელუარდ შევარდნაძეს ისეთი, რომ ამ არაადამიანმა ამხელა სიბოროტე მიჰმადლა იმ ქვეყანას, სადაც, ყველაფერს თავი რომ განანებოთ, თავად დაიბადა.

ელუარდ შევარდნაძემ აუცილებლად უნდა აგოს პასუხი ქართველი ერის წინაშე მის მიერ ჩადენილი მრავალი დანაშაულისათვის!

ჯერჯერობით კი ფარდა დაშვებულია. ადამიანები დაყრუვდნენ და დაბრმავენენ უმაღლესი ხელისუფლის მიმართ.

სწორედ ამისი ეშინიათ მიხედულ სააკაშვილს და მის გარემოცვას, რადგან არ არსებობს იმაზე მეტი ზიზდი, ვიდრე საზოგადოების მიერ ზურგის შექცევა საკუთარი პრეზიდენტისადმი.

თუმცა, მას უკვე საკუთარ პრეზიდენტადაც არ აღიარებს საქართველოს მოსახლეობის მეტი წილი და იმ უზურპატორად მიიჩნევენ, ვინც არჩევნების თავხედურად გაყალბებით უსინდისოდ მიივიდა საქართველოს პრეზიდენტის თანამდებობა.

ყველაფერი ეს რომ იცის საქართველოს ხელისუფლებამ, ამიტომაც ეშინიათ ქართველი ხალხის.

მშიშარა ადამიანი კი უადრესად საშიშია, რადგან მისი ცხოვრებისეული კრელო ნებისმიერი საფრთხის შემთხვევაში, როგორც წესი, შემდგენიარ ლოზუნგად ყალიბდება:

“მე თუ არ ვიქნე გამარჯვებული, ქვა ქვაზე ნუ დარჩენილა!”

ამიტომ არის აუცილებელი, რომ ქართველი ერი, რაც შეიძლება მალე განთავისუფლდეს ყოველგვარი სიმახინჯისაგან და დაუბრუნდეს რეალური აღმშენებლობის იმ პროცესებს, რომლის გარეშე წარმოუდგენელია ქვეყნის გამთლიანება და გაძლიერება.

ილორი

რა სცენარით ეხდება ხელისუფლება 9 აპრილის აქციების განხორციელებას

საქართველო 9 აპრილის მოლოდინშია. ამ დღისთვის ოპოზიციამ და ხელისუფლებამ დიდი ხანია ემზადება. გამოცდილება ორივე მხარეს აქვს და სამზადისი იგივეა, როგორც ადრე იყო. თუმცა 7 ნოემბრის შედეგებით დასრულებული რევოლუციის მორიგი მცდელობა თუ 23 ნოემბრის შედეგებით, ამის თქმა გადაჭრით დღეს არავის შეუძლია. პროგნოზირებას შსს-ს მიერ გავრცელებული ფარული ჩანაწერებიც ართულებს. არ არის გამორიცხული, რომ ბურჯანაძის აქციებისგან კვალდაკვალ, ხელისუფლება სხვა პოლიტიკურ ჯგუფებსაც დაერიოს და დაჭერების ახალი ტალღაც დაიხლოთ.

დღემდე ურთიერთგამომრიცხავი ციურები ვრცელდება, თუ რამდენი ადამიანი იღებენ პრემიების გადაღობის მოთხოვნით პარლამენტის შენობის წინ 2007 წლის ნოემბერში, თუმცა უდავოა, რომ ასე ათასზე მეტი. ამ ხალხს იმედი ჰქონდა, რომ „ხელისუფლება დამთავრდება“. ეს იმედი მათ ოპოზიციის ლიდერებმა ჩაუნერგეს. ამიტომაც ბევრმა საკუთარი სამსახურის და შემოსავლის წყაროს რისკის ფასად ჩამოაღწია თბილისში, მართლაც რომ ჩამოაღწია, რადგან ხელისუფლებამ იმისთვის, რომ ხალხი შეეჩერებინა, გზებზე უამრავი ბარიერი მოაწყო. იმ სამარშულო გაქცევისა თუ ავტობუსების მძღოლები, რომლებიც მართვის მოწმობების ჩამორთმევას გადაურჩნენ, გზებზე დაყრილ ხუთკუთხედიან ლურსმნებს უშეკრებლობდნენ. მოკლედ, ქართული მლაპრის გმირის ექვთარას ხრიკებით ებრძოდნენ საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან მომავალ ხალხს, თუმცა მათმა დიდმა ნაწილმა თბილისამდე მაინც ჩამოაღწია.

საგანგებო სიტუაციის გამოცხადების გარდა, საპროტესტო ტალღის შეჩერება ხელისუფლებამ მაშინ იმითაც მოახერხა, რომ მედიასაშუალებების ვიდეოჩანაწერები გააფრცხლა, თუ როგორ „თანამშრომლობდნენ“ ოპოზიციის ლიდერები რუსულ გენერალიტეტთან. საერთოდ, რუსული კვალი ერთგვარი საფრთხობელაა, რომელსაც ხელისუფლება საკმაოდ კარგად იყენებს. როგორც სიტუაციამ გვიჩვენა, მსგავსი ვიდეო ჩანაწერების დამზადებით შსს ისევა ვაგაგებულა. მერაბიშვილის უწყებას შავი სია უკვე მზად აქვს და თუ „სახელმწიფოს“ დასჭირდება, ოპოზიციის ლიდერების წინააღმდეგ იზოლაციის მომეხმარებელი გამოიყენებს. ოპოზიციის ლიდერების განეიტვარების გარდა, ასეთ შემთხვევებში ხელისუფლებას გლეჯიმიების განეიტვარებაზე მოუწევს, როგორც იმასეთი ასეთი სამიზნე გლეჯიმიანია „იმედი“ გახდა, ამჟამად იმედის პრობლემა მოგვარებულია, ამიტომ ნიღბიან სტუმრებს ამჯერად, ალბათ, გლეჯიმიანია „მეგეტრო“ უნდა ელოდოს. ეს 9 აპრილის შემდეგ, მანამდე კი სახელმწიფო მანქანა იმაზე მუშაობს, რომ აქციაზე რაც შეიძლება ცოტა ადამიანი მოახერხოს მისვლა. საამისოდ უკვე ნაცად ხერხებს იყენებს, როგორც ოპოზიციური პარტიების წარმომად-

გენლები აცხადებენ, უკვე დაიწყო სამარშულო გაქცევის მძღოლების გაფრთხილება, რომ 9 აპრილს მუშაობა შეწყვიტონ, ასევე მიმდინარეობს პარტიული აქციებისგან დაშინება და დაჭერა.

2007 წლის ნოემბერში ვერავინ წარმოადგინა, რომ 2009 წლის აპრილში საქართველოს პრემიერის იხვე მისილ სააკაშვილი იქნებოდა. თუმცა ჩვენს უახლეს ისტორიას 2003 წლის რევოლუციაც ახსოვს. 2003 წელს, როგორც გიორგი თარგამაძე აცხადებს, არც შევარდნაძის ხელისუფლებას ეგონა, რომ რევოლუცია მოხდებოდა. ექსპრემიერის შევარდნაძე რევოლუციიდან 5 წლის შემდეგ ასახელებს ახალ მოღალატეს – მაშინდელ სახელმწიფო მინისტრს, ავთანდილ ჯორბენაძეს. მას, როგორც ჩანს, საკმაოდ დიდი დრო დასჭირდა იმის გასარკვევად, თუ ვინ გადაბარდა მისი გარემოცვიდან ოპოზიციურ ბანაკში. რაც იმას ნიშნავს, რომ მაშინდელმა ოპოზიციამ საკმაოდ კარგად იმუშავა. ის ფაქტი, რომ რევოლუციონერების გუნდში იყო, მაშინდელი პარლამენტის თავმჯდომარე, სახელმწიფო მინისტრი, გენერალური პროკურორი და უშიშროების მინისტრიც კი, მეტისმეტად ურთულებდა ხელისუფლებას სიტუაციას, და პირიქით, დადებითად იმსახურებდა ოპოზიციის მოქმედებებში. უშიშროების თანამშრომლები ამაოდ აწვდიდნენ ინფორმაციას მაშინდელ მინისტრს შესაძლო საფრთხეების თაობაზე. სახელმწიფო აპარატს რევოლუციის თავიდან ასაცილებლად ფაქტობრივად არაფერი გაუკეთებია. პარლამენტში შეჭრისას, მიყოლილნი უხსნიდნენ ხალხს კორდონს დიდუბე-ჩუღურეთის, გლდან-ნაძალადევის თუ ქალაქის მთავარი სამმართველოების თანამშრომლები. მოგვიანებით კი ისინი მაშინდელმა ქალაქის სამმართველო უფროსმა, გივი თარგამაძის მეგობარმა ლევან მაისურაძემ საერთოდ განეიტვარებინა გაიწვია. მოკლედ, 2003 წელს ხელისუფლების რღვევა შიგნიდან დაიწყო. ცნობას, რომ თბილისის პოლიციამ უარი თქვა, ქვეყნის მთავარსარდალს დამორჩილებოდა, ელვის სისწრაფით მოჰყვა ინფორმაციები, რომ თავდაცვის სამინისტროს დახმარებაზე მათ მიბაძეს. სიტუაცია კონკრულიდან გამოვიდა. მხელია მსჯელობა იმაზე, შეძლებდა თუ არა ელვარდ შევარდნაძე სიტუაციის შემობრუნებას, გარემოცვაში მოღალატეები რომ არ ჰყოლოდა, მაგრამ ამის მაგალითიც უკვე არსებობს. მისილ სააკაშვილი შევარდნაძის შეცდომებს არ იმეორებს. იგი მუდმივად ამოწმებს საკუთარ გარემოცვას და საკვანძო თანამდებობებსაც მხოლოდ იმ ადამიანებს აბარებს, რომლებიც საფლავში გაპყვებიან საჭირო თუ გახდება. გარდა ამისა, სააკაშვილს პიარ მანქანაც საკმაოდ კარგად აქვს ამუშავებული და ქვეყნის საომარ მდგომარეობაში ყოფნაც უწყობს ხელს, სიტუაციის გამწვავების შემთხვევაში, „ქვეყნის გადასარჩენად“ ძალა გამოიყენოს.



პარლამენტის ყოფილი თავმჯდომარე, ნინო ბურჯანაძე, რომელიც 7 ნოემბერს აქციის დარბევას პარლამენტის შენობიდან აღეხებდა თვალს და წარბშეუხერხელად ამართლებდა სახელმწიფოს ამ გადაწყვეტილებას, ახლა შემოთვებით საუბრობს აქციის მოსალოდნელ დარბევებზე. 9 აპრილამდე ერთი თვით ადრე, როდესაც გენერალური შტაბის უფროსად ახლად დანიშნულმა პოლკოვნიკმა ვლადიმერ ჩაჩიაძემ მინისტრის მოადგილის პოსტზე გადაინაცვლა ბურჯანაძემ განაცხადა: „ეს რიგითი საკადრო ცვლილება არ არის, როგორც ამის წარმოდგენა ხელისუფლებას უნდა. პოლკოვნიკის ჩამოშორება თანამდებობიდან და მით უფრო, მისი სამოქალაქო თანამდებობაზე, კერძოდ, თავდაცვის მინისტრის პირველ მოადგილედ დანიშვნა, ერთი ნიჭიერი სარდლის სამხედრო აღორძინების საქმიდან ფაქტობრივ ჩამოშორებას ნიშნავს... ჩვენს ხელთ არსებული ინფორმაციის თანახმად, პოლკოვნიკმა ჩაჩიაძემ ძალზე მნიშვნელოვანი შეხვედრისას განაცხადა, რომ ჯარის მიერ 7 ნოემბერს დაშვებულ შეცდომებს არ გაიმეორებს. 9 აპრილს და სხვა შემდგომი მოვლენების დროს ის არავითარ შემთხვევაში არ დაუშვებს, რომ ჯარი, ან მისი ცალკეული ნაწილები ამა თუ იმ ოპერაციის განხორციელებაში ჩაერთონ...“

მის ფუნქციებს ფაქტობრივად თავდაცვის მინისტრის მოადგილე ბაჩო ახალაია შეასრულებს, რომელსაც 4 მარტის თათბირზე საქართველოს პრემიერმა მიხეილ სააკაშვილმა შეიარაღებული ძალების საბრძოლო მომზადება და კონკრული დიად დაავალა. ეს სხვა არაფერია, თუ არა ჯარის პოლიტიკოსების დია მცდელობა, რაც ოფიცრების და სამხედრო მოსამსახურეების სამართლიან პროტესტს გააძლიერებს. ბურჯანაძის შიში უსაფუძვლო ნამდვილად რომ არ არის, რადგან მისი კომპრომეტირება, თუ ნოლიდელს არ გავითვალისწინებთ, ყველაზე ადვილია. ბურჯანაძე-ნიჭიერების გარდა სხვა ოპოზიციური ძალების წინააღმდეგაც არსე-

ბობს კონკრეტული გეგმების მონახაზები. სადაო საკითხი, ვის უფრო აძლევს ხელს თენგიზ კიკოვიანის ჩამოსვლა საგანგებო 9 აპრილის აქციისათვის. კონსერვატორი კუკავა აცხადებს, რომ კიკოვიანის გამოჩენა ხელისუფლების სცენარის ნაწილია, ისევე როგორც ბიჭაძის მიერ დაჯგუფებების შექმნაზე საუბარი. აღნიშნული მოსაზრება რეალობას ძალიან წააგავს, მითუმეტეს, რომ თურმე ჩვენი დიპლომატიური კორპუსი აქტიურად აწვდის ინფორმაციებს დასავლეთსა და აშშ-ს. აქციებმა შესაძლოა, ძალადობრივი სახე მიიღოს და სახელმწიფო გადაგრილებაში გადაიზარდოს და ხელს რუსეთისკენ იშვერს. ასევე საგანგებოა ის ფაქტიც, რომ თბილისის გარშემო დიდი ხანია, სანგრები მზადაა, რაც უდავოა, რუსების ახალგორიდან დაძვრის საფრთხეს უნდა უკავშირდებოდეს, ან უბრალოდ ამის ასოციაციას ქმნიდეს. ასეთ შემთხვევაში საზოგადოება სიტუაციის ესკალაციას ხელს არ შეუწყობს და, თუ მსგავსი სცენარი ხელისუფლებას მართლაც აქვს დაგეგმილი, ოპოზიციის ლიდერები პარლამენტის წინააღმდეგობა დარჩებიან. ხელისუფლების რიგობრივად, რომ ქვეყანაში სიტუაციის არევა რუსეთის ინტერესებში შედის, რომ ოპოზიციის რუსული ფული გრიადებს, და ინფორმაცია მს სამინისტროს განსაკუთრებულ სამზადისზე, რომ მიმდინარეობს პოლიციის ძალების გადამზადება და მერაბიშვილის უწყებაზე უკვე შეიძინა დარბევის ახალი საშუალებები, შესაძლოა მოსახლეობის დამინებას ემსახურებოდეს, რადგან დარბევის სიმწარე ბევრმა მათგანმა ცოცხალი ხნის წინ გამოცდილია და რაც ყველაზე მთავარია, თუ ამაზე ხელისუფლებას ხახვივით მერჩა. თუმცა, თუ პროცესი უმართავი გახდება და პროვოკაციის ექნება ადგილი, სააკაშვილი რომ შევარდნაძის კვალს არ გაჰყვება მგონი, სადავო არ უნდა იყოს. თუ შევარდნაძესავით შინაგან საქმეთა და თავდაცვის სამინისტროები მასაც არ ჩამოეშალა, პრემიერისგან აუცილებლად ეცდება, ყველა ძალა გამოიყენოს ხელისუფლების შესანარჩუნებლად.

მანანა ჭელიძე

რად ვიღაცამ – კოკომ, კაკომ, ვიამ და გუგულის. ახლა გაეშვიფროთ, რადგან ისეთმა გავლენიანმა პოლიტიკურმა ძალებმა გადაწყვიტეს ალიანსის შექმნა, რომ, ხუმრობა იქით იყოს და, ბევრს დაუფრთხობდა მშვიდ ძილს.

„ალიანსი საქართველოსთვის“ – ამ სახელწოდებით ოთხი პოლიტიკური პარტია გაერთიანდა: „თავისუფლება“, „ქართულ ტრადიციონალისტთა კავშირი“, „მომაგლის პარტია“ და „ქალთა პარტია“.

ახლა ერთად დასხდებიან კოკო გამსახურდია, კაკო ასათიანი, ვია მისაშვილი და გუგული მადრაძე. დასხდებიან! მათ აერთიანებთ საერთო პოლიტიკური წარსული, კერძოდ, ეროვნული მოძრაობა და ზვიად გამსახურდიას ეროვნული მთავრობის სათავეებთან ყოფნა. ეს ჩემი სიტყვები არ გვერთობს, – კონსტანტინე გამსახურდიას კეუთონის. მიუხედავად ჩემი პატივისცემისა ამ დიდებულ გვარის მიმართ, უნდა შევხედო ბატონ კოკოს და მოკრძალებით შევიწინო, რომ მან იცრუა. მიზანი კეთილშობილურია, მაგრამ ხომ ყველას გვახსოვს, რომ ზვიად გამსახურდიას ეროვნული მთავრობის სათავეებთან ამ ოთხი პატიოსანი ადამიანიდან მხოლოდ ერთი – აკაკი ასათიანი იღვა (ფუქმფულა სავარძელშიც იჯდა და ცოტა ხნით ქობულეთშიც იმშვიდებდა აფრთხილებულ გულს!)

ვილასამ გუგულის ბუდეში მოიკალათა

და ისიც – უზუნაესი საბჭოს თავმჯდომარის რანგში. ხოლო დანარჩენი სამიდან ერთს იცნობდნენ, როგორც ზვიად გამსახურდიას უფროს ვაჟს, მეორეს – ვია მისაშვილს, როგორც „ნაციონალური მოძრაობის“ ეკონომიკური პროგრამის ავტორს და ე.წ. სილიკონის ველის პროპაგანდისტს, რომელიც ამერიკის შეერთებული შტატებიდან ხელების ქივეით მოგვევლინა; მესამეს – გუგული მადრაძეს კი, ჯერ პრეზიდენტის დედის – ქალბატონ გიული ალასანიას უნივერსიტეტულ მეგობრად მოიხსენიებდნენ, მერე პრეზიდენტ სააკაშვილის მეხობედ, შემდეგ კი პორტარტურელების გზას დაადგა და „ქალთა პარტიის“ თავმჯდომარედაც გაგვეცნო.

ეს ხალხი რეალობას სრულიად მოსწყდა: ყველას გვახსოვს კოკო გამსახურდიას ემოციური გამოსვლები, ასევე ყველას გვახსოვს ვია მისაშვილის ფართოდ გაშლილი ხელები და სილიკონის ველის სასწაულების შესახებ მოყოლილი ზღაპრები. ახლაც შე-

მოგვძახა, – „ქვეყანას ელოდება ყოველსომომცველი ეკონომიკური პარალელბობა“. უკვე მოხდა, მისტერ ვია, ვე ამბავი, ადარაფერი ელოდება, უკვე პარალელბობულია დიდი ხანია, და, პამელა ანდერსონის არ იყოს, სილიკონის სასწაულს ველით.

კაკო ასათიანზე, აბა, რა გითხრათ, „ბავშვმაც კი იცის, ვინ არის კაკო“. ჭკვიანი კაცი კია, გარკვეულ მოვლენებს წინასწარაც ჭკრეტს. „წიწკანთ მაგდანა“ სწორედ მისი აქტიური ჩარევით გახდა პარლამენტის თავმჯდომარე. თავის დროზე ვიანიამ მას სთხოვა ბურჯანაძის კანდიდატურის დაყენება და მერე მთელი ტვირთი შეიძინა აიკი-და. მიაი ნადირაძეც კაკო ასათიანის „კისერზე“, მაგრამ ან მას და ან ვიანიას დაუფასდათ ეს ამაგი?

გუგული მადრაძე კი ფსიქოლოგიის პროფესორია, მაგრამ როგორც პოლიტიკოსი, აბა, რა მოგახსენოთ; ეს ერთი ქალია ამ ალიანსში და, მოდი, თავი დავანებოთ.

ერთი სიტყვით, „ალიანსი თავისუფლებისთვის“ შედგა და შეხმატკბილდა. გუგულებს სხვის ბუდეში კვერცხის დადებდა ახასიათებთ, ამათ კი ერთ ბუდეში მოიკალათეს და ვნახოთ, რას გამოჩნევაკენ.

ჯანი გავარდეს, იქნებ, სულაც ბიჭი იყოს?!
ბონდო მინარაშვილი

საგებრილო 1990-1992 წლებში



... 1994 წლის გაზაფხულში შემოდიოდა. სამხრეთ გერმანიაში, ბოლდენზეეს ნაპირას მდებარე ულამაზეს ქალაქ ვაინგარტენში, სასტუმრო „Alte Oxsen“-ში (ქართულად „ბებერი ხარები“) ვცხოვრობდი. თითქმის ნახევარი წელი მომიწია იქ ყოფნა და მეც ამ პატარა ქალაქის თითქმის ნახევარი მაცხოვრებელი გავიცანი. ცხადია, ჩემი ქართველობის შესახებ ყველამ იცოდა და მეც საკმარისზე მეტი მოსაყოლი, პასუხგასაცემი კითხვა მქონდა და რაც მოთავსობდა, იმის მტკიცება მიწევდა, რომ ჩვენ ქართველები, ქურდები და მამაძაღვლები არ ვართ და ჩვენი ბრალი არ არის კრიმინალური მთავრობა რომ გვყავს.

...პირველად სწორედ აქ მომიწია შევარდნადის სახელთან დაკავშირებულ ვეროპულ მითთან შეჯახება.

... როცა ჩემს ოპონენტებს ვუხსნიდი – დღევანდელი საქართველოს კრიმინალური მთავრობა სწორედ შევარდნადის მიერ, მისივე კრიმინალური გზებით მოაოგებოდა ფულთა მოყვანილი ისინი გაოგნებული მიყურებდნენ, ხოლო რომ დაეძენდი: ეს ფული შევარდნაზე სწორედ გერმანიაში იშოვა მისი არანაკლებ კრიმინალი კოლეგებისგან, მათ ხშირ შემთხვევაში მოთმინება არ ყოფნიდათ, მაგრამ არასოდეს გადაულახავთ ის ზომიერება, რასაც ჰქვია – საკუთარი ოჯახის გასაჭირი პატრონზე უკეთესად სხვამ რომ ამ იცის და თავის კანტურით ჩაილაპარაკებდნენ: „ჩვენ ამის შესახებ არფერი გვსმენია.“ და ჩვენი კამათიც ღუღზე დაპატივებით მთავრდებოდა, რომელიც ნამდვილად ჯობდა შევარდნაძესა და მის კრიმინალურზე საუბარს.

ეს სწორედ ის პერიოდი, გერმანიაში ჰელმუტ კოლს რომ 500 ათას გერმანულ მარკას ეღაგებინა, თითქოს მის პარტიას ეს თანხა დაურეგისტრირებლად გამოეყენებინოს არჩევნებში. საქმე იმდენად გახმაურდა გერმანიის გამაერთიანებელი კანცლერის, გერმანელი ერისათვის საუკუნის ოცნების ამხდენის ქონებას ყადაღა დაადეს (რომელიც, მხოლოდ 1,2 მილიონ მარკად შეფასდა!!!), კანცლერი კი რამდენჯერმე სასამართლოზე გამოცხადდა ამის გამო. მართალია მას არაფერი დაუმტკიცდა, მითუმეტეს არავის უკადრებია მისთვის (ქართველ ხელისუფალთაგან განსხვავებით – შევარდნაძიდან მოყოლებული, სააკაშვილით დამთავრებული) ქვეყანა ძარცვა

და ნაძარცვი სახლში წაიღო, მაგრამ კიდევ ერთხელ დადასტურდა გერმანული ჭეშმარიტება: კანონის წინაშე კანცლერიც და კელნერიც ყველა თანასწორია!

საინტერესოა, იმ დროს რა მანქანები ჰყავდათ ბ-ნ კანცლერს და მის მეუღლეს?

– კანცლერს ოთხკარიანი, ხოლო მის მეუღლეს პანელის ორკარიანი ვოლფო მყოლიათ!

ეს, კიდევ ერთი პატარა სენსაცია შეიძლება ქართველისთვის ყოფილიყო. გერმანელისთვის კი ჩვეულებრივ მოვლენად ითვლება.

ცხადია გერმანიის გამაერთიანებელი კანცლერი და მისი (აწ გარდაცვლილი) მეუღლე უფრო მათ სამშობლოში და ხანდისხან კეთილგანწყობილ ანგლოტებსაც ყვებიან მათზე:

„...ერთხელ ჰელმუტი და პანელორე „Tankstelle“-ზე შევიდნენ მანქანის გასამართად. ჰელმუტმა ბენზინი ჩაასხა, მექანიკურად კარები ჩაეკეტა და ფულის გადასახდელად მარკეტში შევიდა. უკან მობრუნებულს მანქანა და მანქანის გასაღები ჩაკეტილი დახვდა.

შეწუხებულმა ბენზინგასამართის თანამშრომელს დახმარება თხოვა.

მანაც არ დაახანა და ფულადის წერილი მათუღი მოუტანა.

გახარებულმა ჰელმუტმა მათუღი კარის რეზინის მანქეტში გააძვინა და ცდილობს რამენაირად კარის საკეტს გამოსდოს და გამოქაჩოს, მაგრამ ამას ვერ ახერხებს.

უცებ მანქანის შიგნიდან ქალის ხმა გაისმის: „ჰელმუტ ცოტა მარცხნივ, ჰელმუტ ცოტა მარჯვნივ!“

ბენზინგასამართის თანამშრომლები პირდაპირი შეჭურვებდნენ მანქანაში ჩაკეტილ მანქანის მძღველს და მის ალტაცებულ გულ შემატყვევობას, როდის გამოსდებს ჰელმუტი მათუღს მანქანის საკეტს... „

არავის არასოდეს წამოცდენია შევარდნადის დასავლეთელი კოლეგების მისამართით, რომ მათ სახელმწიფო ძარცვეს, კრიმინალურთან აღიანხი შეკრეს, ან უცხო ქვეყნის აგენტურასთან თანამშრომლობდნენ!..

2003 წლის ნოემბერში „ვარდების სახადს“ შემოყოლილ უდღეურ ბავშვთა მთავრობის მიერ „შეშინებული“ შევარდნაძე „თავშესაფარს“ გერმანიაშიც ეძებს. ერთი კვირის განმავლობაში გერმანიის ტელევიზიის რამდენიმე არხი და ზოგადად ევრომედიის ათეულობით წარმომადგენელი მოთმინებით ელოდა როდის ჩამოვიდოდა იგი სახელდახელოდ (11 მილიონ ევროდ) შექმნილ გრუნდიგების მამულში, რომელსაც საქართველოში უბრალოდ „ვილა“ უწოდეს, ბადენ-ბადენში კი დაახლოებით ისეთი ადგილია, როგორცაა ჩემი თაობის სტუდენტობის დროს თბილისში თერთმეტ სართულიანი სახლი მოიხსენიებოდა

გმირთა მოედანზე.

იმედი მაქვს მკითხველს არ გამორჩება ერთმანეთს შეადაროს გერმანიის გამაერთიანებელი კანცლერის 1,2 მილიონ მარკად შეფასებული პირად საკუთრებაში არსებული და საქართველოს დამაქცევარის, სულიერად და ზნობრივად გამრყენელის შევარდნაძის მიერ დაგროვილი ქონება!..

...მე იმჟამად გერმანიაში ვიმყოფებოდი და უამრავი კითხვისთვის მიწევდა პასუხის გაცემა. მათ შორის:

„ – მართლა თუ ჩამოვა ეღუარდ შევარდნაძე გერმანიაში და როდის?..“

მკითხველს არ შევაწუხებ ჩემი პასუხით, მაგრამ ჩემი უახლოესი მეგობრის, საქართველოს დიდი გულშემატკივრის მაგდებურგელი პანს ბაიერლინგის იმ დღეებში მოწერილ წერილს კი მოვიშველიებ:

„ ... დათო, მესამე დღეა ტელეშოუს ეყურებო ბადენ-ბადენიდან. პირველ დღეს მეც მჯეროდა შევარდნაძის გერმანიაში ჩამოსვლის, მაგრამ ეს უკვე არ მოხდება რამდენიმე უბრალო მიზეზის გამო:

1. მისი მრჩეველების შეცდომა იყო გრუნდიგების მყვირალა მამულის შეძენა;

2. თერთმეტი მილიონი ევროს, ნებისმიერი გერმანელისთვის უზარმაზარი თანხის გაცხადება;

3. ის, რაც საქართველოში შეიძლება დაიმალოს და აიკრძალოს, შენ კარგად იცი გერმანიაში შეუძლებელია. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, მარტო „Bild“-ი გაუშრობს სისხლს 11 მილიონი ევროს გადახდელ, გადატაცებული საქართველოს ნაპრეზიდენტად შევარდნაძეს!..

ეტყობა მას ჭკვიანი მრჩეველი გამოუნდა და დაანახა ეს რეალობა, რომლის შემდეგაც იგი გერმანიაში ნამდვილად არ ჩამოვაო!..“

ბევრი რამ ჩემთვის ისედაც ცხადი იყო, მაგრამ ჩემი გერმანელი მეგობრის დასკვნა, რომ იტყვიან ათიანს არ აცდენია და სრულ ჭეშმარიტებას დალადებდა, რაც შემდგომში მოვლენებმა ნათლად დაადასტურა.

თუ რა მოყვა ყოველივე ამას საქართველოში, ამისათვის კიდევ ერთხელ უნდა მივუბრუნდე ჩემს ვაინგარტენში ყოფნას და სატუმრო „Alte Oxen“-ს:

ერთხელაც, გვიან შუადღისას ტელეფონი რეკავს, შუქი ავანთე და საათს დავხედე, სამი სრულდებოდა. მივხედი, მხოლოდ საქართველოდან შეიძლება ვინმეს ამ დროს დაერეკა.

არ შევძვარვარ, მხოლოდ ერთი შესწორებით, ქართველები ისხდნენ სუფრასთან თურმე ისრაელის ქალაქ აშლოდში. იქ მყოფი ჩემი მეგობარი კახა მობოლიშვიტი მეუბნება:

„... ალბათ გაიფიქრე, ამ შუადღისას ქართველის მეტი ვინ დარეკავდაო! სტუმრები გვყავს,

კრწანისელი ებრაელები არიან, კიფი დიდხანს გაგვიგრძელდა, ვილაცამ შენი სახელი ახსენა და ერთ-ერთი მათგანს შენთან საუბარს ითხოვსო“

სახელი და გვარიც მითხრა – დათო ჰქვია, აჯიაშვილია გვარად. სახელი და გვარით მე იგი ვერ გავიხსენე, მაგრამ ამას რა მნიშვნელობა ჰქონდა – დიდი სიყვარულით და პატივისცემით მომმართავდა ჩემი თანამოსაუბრე ისრაელიდან:

„ – როგორ ხართ ბატონო დაივით, ყველას გვახსოვხართ და გვიყვარხართ, თქვენი სახელი რომ ახსენეს გულმა ვერ მომიტინა და ამიტომ შეგაწუხებო“

მეც მოვიკითხე. მანაც დამაყარა კითხვები და ბოლოს:

„ – რას აკეთებთ ბატონო დაივით, გერმანიაში?“

ვრცელ ახსნა განმარტებას თავი ავარიდე და მოკლედ ვუთხარი – დისერტაციას ვაკეთებ ჩემო დაივით მეტქი!

იმანაც არ დააყოვნა:

„ – რაეა იქნება მაგი საქმე, ყველა ფულს აკეთებს და თქვენ დისერტაციას?!“

... კარგა ხანს ვიცინეთ ორივემ. კარგად ვიცოდით ეს უფრო სიმწრის სიცილი იყო, რადგან საქართველოს იმდროინდელი მთავრობისთვის წიგნი და დისერტაცია ყოველად შეუსაბამო იყო და ორივე გაეჩუქებოდა.

ისევ მე ვცადე გამოსავლის მოძებნა, როდის წამოხვედით საქართველოდან ჩემო დაივით-მეტქი.

დავითს დაფიქრებაც არ დასჭირვებია ისე მომიგო:

„ - 92-ში, მაშინვე მოვხიე საქართველოდან, რაგარც კი ყაჩაღები მოვიდნენ მთავრობაში, დაივით, დეგენაცვლე!“

სიმწრით გავიფიქრე, რომ დავითს დაფიქრებაც არ დასჭირვებია თავის არჩევანში. უტყუარი ჭეშმარიტებაა: სიმართლეს ფიქრი არ სჭირდება!

გაზეთ „ილორის“ მე-3 ნომერში მკითხველს მოვუთხრე ჩემს მიმართ შევარდნაძის კრიმინალური ხელისუფლების აგრესიული დამოკიდებულების თაობაზე, რაც ჩემი რამდენიმეგზისი დაპატიმრებით აღინიშნა. სამწუხაროდ, მოგვიანებით აღმოვაჩინე ჩემს პირად არქივში ჩემს ერთ-ერთ დაპატიმრებასთან დაკავშირებული დოკუმენტები, რომლის თუნდაც დავაინებოთ მკითხველამდე მიტანა აუცილებელ საქმედ მიმაჩნია.

კიდევ ერთხელ მოვიხიე ბოლიშს მკითხველის წინაშე, შექმნილი უხერხულობისათვის და ვთავაზობ მას გაზეთ „ილორის“ მე-3 ნომერში გამოქვეყნებულ წერილში ჩასამატებელ მასალას.

... ქალაქის პოლიციის სამმართველოს საპყრობილეში თითქმის ყველა პოლიციელი ნაცრობი აღმოჩნდა. მე ხომ გარკვეული პერიოდი თბილისის კრწანისის რაიონის პრეფექტი ვიყავი და ქალაქის აქტივის შეკრებებზე ხშირად ვხვდებოდი ძალღვალი

სტრუქტურების წარმომადგენლებს. გულწრფელად უკვირდათ ჩემი იქ ყოფნა. მაღლიერების ნიშნად, ხან სიგარეტს, ხანაც შაქარს და თეთრი პურის ნაჭრებს მთავაზობდნენ მალულად. მოგვიანებით მე თვითონ ვთხოვე საპონი, საწერი ქაღალდი და საწერკალამი, რაც მაშინვე მომართვეს კიდევ.

საპონი – დაუბანებლობას ვერ შეეგებო;

საწერი ქაღალდი და საწერკალამი – ხმა რომ მიმეწვინა გარეთ მყოფთათვის (გვიან ამისხნეს ყველაფერი ეს აკრძალული ყოფილა პატიმრებისათვის და ჩემი ერთგული პოლიციელები რისკის ფასად აკეთებდნენ ყოველივეს).

ასე გავუგზავნე საპროტესტო წერილები მაშინდელ შინაგან საქმეთა მინისტრს ბ-ნ რომან გვერცაძეს და ქალაქ თბილისის მთავარ პროკურორს ბ-ნ მიხეილ ქურდაძეს.

... ჩემი განთავისუფლებიდან ერთი კვირის თავზე ბ-ნი მიხეილ ქურდაძის წერილი მივიღე, სადაც იგი მაწუხებდა რომ – მე კანონის უხეშად დარღვევით ვიყავი დაპატიმრებული, საქმე აღძრულია და დამნაშავეები აუცილებლად დაისჯებიანო...

მოგვიანებით მისმა პირადმა მდივანმა დამირეკა და მოხოვა ბ-ნი მიშა ქურდაძესთან მივსულევიყავი. ჩემი პრეფექტად ყოფნის დროს ახლო ურთიერთობა ჩამოგვიკალიდა მე და ბ-ნი მიშას, რაც არც ამ შემთხვევის შემდეგაც დარღვეულა, ვიდრე შევარდნაძის კრიმინალური ერთერთ ჩვენგანს სიცოცხლეს გამოასალმებდნენ.

თითქოს მომიბოდიშა კიდევ მომხდარის გამო, ბევრი ვისაუბრეთ თბილისში და ზოგადად საქართველოში მიმდინარე უბედურებებზე და ბოლოს მირჩინა:

„ – ხომ ხედავ ქვეყანა დამნაშავეთა ხელშია ჩავარდნილი. ძნელია ამათ ვინმე წინ აღუდგეს... შენ ცამდე მართალი ხარ, მოგწერე კიდევ, მაგრამ არ გირჩევ ამათ შეეჭიდო, მართალი კაცი ხარ და არ მინდა ვინმემ რამე დაგიშავოსო!..“

ასე დავემშვიდობეთ ერთმანეთს.

მე იმავე დღეს წავედი სასაგარეოში, სადაც ყოველდღე ახალ-ახალ პროვოკაციებს აწყობდა თბილისის კრიმინალიტეტი.

ბატონ მიშასთან შეხვედრის ორი კვირის თავზე, სწორედ ზუგდიდში მოვისმინე თბილისის ტელევიზიის სპეციალური რეპორტაჟი:

„...გუშინ, საკუთარი სახლის საღარბაზოსთან, დაუდგენელმა პირებმა ცეცხლსასროლი იარაღით მოკლეს ქ. თბილისის პროკურორი მიხეილ ქურდაძე!..“

მეწყინა, მაგრამ არ გამკვირვებია – მკვლელისა და ყაჩაღისაგან მკვლელობისა და ყაჩაღობის მეტს რას უნდა მოელოდე?

გაგრძელება იქნება

საქართველოს საბაჟო უშიშროება



ძუკუ ლოლუას

განსაკუთრებულ მნიშვნელობას შეიძენს; საქართველოს დიდი პატრიოტი ხომ აფხაზი მოძმეების, მათი ადათ-წესების, მათი სახიმღერო ფოლკლორის დიდი დამფასებელი და ქობაიცი იყო. ძუკუ ლოლუას ხელმძღვანელობით შესრულდა სცენიდან პირველად აფხაზური სიმღერები, მის გარშემო შემოიკრიბნენ შესანიშნავი აფხაზი მომღერლები, რომელთაც ქართველები ძმებად მიანდათ.

ძუკუ ლოლუა დაიბადა 1877 წლის 8 აპრილს ახლანდელი ხობის რაიონის სოფელ ქვალონში. ორი თვისას გარდაეცვალა მამა და ობლად დარჩენილი ხუთი შვილის აღზრდა დედამ ითავა.

მალე მათი ოჯახი საცხოვრებლად ქალაქ ფოთში გადავიდა. იგი ბავშვობიდან ეხიარა შრომას, რადგან მარხუნაღის გარეშე დარჩენილი ოჯახს მატერიალურად ძალიან უჭირდა. ათი წლის ძუკუ შევიდა გიმნაზიაში და აქ აღებული ხელფასით ლოლუებმა სახლკარი მოიწყვეს ფოთში.

1888 წელს ძუკუ ამხანაგებთან ერთად ბათუმში გაემგზავრა. ოჯახის დიდი სურვილი იყო, რომ ძუკუ სასულიერო გზას გაჰყოლოდა. ამიტომ, 1892 წელს, ეპისკოპოსის რეკომენდაციით, იგი ხობის მონასტერში სწავლობს საეკლესიო მწიგნობრობასა და გალობას ხობის მონასტერში და ამავე დროს ფოთის საეპარქიო ტაძარში ირიცხება პონომარად.

1894 წელს ძუკუ ფოთის საეპარქიო სკოლაში დაიწყო გალობის მასწავლებლად მუშაობა. შემდეგ იგი წავიდა სოფელ კოკში, მოაგროვა იქ მუშობელი სოფლებიდან მომღერლები და 24 კაცისაგან

შემდგარი გუნდით ორი თვის ინტენსიური მეცადინეობის შემდეგ ქუთაისის თეატრის სცენაზე გამართა კონცერტი, რომლის მოწყობას ხელმძღვანელობდნენ შალვა დადიანი და ვაჟთა გიმნაზიის გალობის მასწავლებელი ბესარიონ წერეთელი. ახლად შექმნილ ანსამბლს “მეგრულ მომღერალთა სახალხო გუნდი” ეწოდა. ეს იყო არა მარტო ძუკუ ლოლუას გუნდის, არამედ მთელი დასავლეთ საქართველოს მომღერალთა გუნდის პირველი გამოსვლა სცენაზე. რამდენიმე წლის შემდეგ ძუკუ სოხუმში ჩავიდა. როცა იქ ხმა გაჰვარდა, სოხუმში ცნობილი ლობჯინაძე ჩამოსული, რომელმაც ანსამბლი უნდა შეადგინოსო, ძალიან ბევრი აღმოჩნდა მსურველი ასეთ გუნდში გაერთიანებისა. აგვისტოს თვეში უკვე 80 კაცი შეიკრიბა. გუნდში მღეროდნენ აფხაზები, მეგრელები, იმერლები, გურულები, სვანები, სოციალურად სხვადასხვა ფენის წარმომადგენლები: ხელისნები, ვაჭრები, მეტელები, პორტის მუშები, მასწავლებლები, მოსწავლეები და სხვა...

1904 წლის 25 სექტემბერს იმ ბინაში, სადაც გუნდი მეცადინეობდა, ეს იყო სამშე თოფურის სახლი, ჩატარდა კონცერტი. დარბაზში ხალხის ტევა არ იყო. ორი იმდენი გარედან აღევნებდა თვალყურს. აღვლიდნენ ძალიან ბევრს გუნდის გამოსვლას დიდი სიხარულით შეხვდა სოხუმის საზოგადოება. ეს იყო მხოლოდ დასაწყისი იმ დიდი აღმავლობისა, რაც ქართულ-აფხაზურმა ერთგულმა მუსიკამ ძუკუ ლოლუას მოღვაწეობის პერიოდში განიცადა.

სოხუმში ჩასვლის დღიდან ძუკუ მთავარ ამოცანად აფხაზური სახიმღერო შემოქმედების საგანძურის მოპოვება განიზრახა. მან ფეხით შემოიარა

აფხაზეთის სოფლები. უდიდესი სიფაქიხითა და აღფრთოვანებით შეუდგა უძველესი აფხაზური სიმღერების, ცეკვებისა და საკრავების შეგროვებას. დაუახლოვდა აფხაზური სიმღერების საუკეთესო მცოდნეებს – აბას კოდონიას, გუჯუჯი მარდანიას, მალხაზ ეშბას, კონდრატე ძიძარიას და სხვებს. ჯერ თვითონ სწავლობდა მათგან სიმღერებს და მერე ასწავლიდა გუნდის წევრებს. სოხუმის გუნდის მიერ შესრულებული აფხაზური სიმღერები აზარი, დაჭრილის სიმღერა, აფხაზური საცეკვაო, აფხაზური საიურიშო, დასაკრავები აფხაზურ ინსტრუმენტებზე – აფხერცაზე, აჭარპანზე, აიუმაზე ისეთ დიდ შთაბეჭდილებას ახდენდა თურმე მსმენელზე, რომ ხშირად ამეორებიდნენ კიდევ.

გუნდის წევრები, შემდგომში ცნობილი ლობჯინაძეები კიწი გეგეჭკორი, კირილე პაჭკორია, ვანო კოხმაჯა (აფხაზი), მაქსიმე ანუა, დიკი ძიაფშიპა, რემა შელეგია და სხვები მომავალშიც ხშირად მიმართავდნენ თავიანთი გუნდების საკონცერტო რეპერტუარში ძუკუს მიერ სცენაზე გამოტანილ აფხაზურ სიმღერებს. ამრიგად, გუნდმა არაერთი კონცერტი გამართა აფხაზეთსა და სამეგრელოში.

1914 წელს ძუკუ ლოლუას გუნდმა დიდი საკონცერტო მოგზაურობა მოაწყო დასავლეთ საქართველოს ქალაქებში: ბათუმში, ფოთში, ქუთაისში, ჭიათურაში, ზესტაფონში, საჩხერეში...

1919 წელს ძუკუ ლოლუა ისევ ფოთში გადავიდა და საკმაოდ გვიან – 42 წლის ასაკში დაქორწინება გადაწყვიტა. მან ცოლად შეირთო პირმშენიერი თავადის ასული – დაშა ჩიქოვანი. ჯვრისწერას უამრავი ხალხი დაესწრო – ცას სწვდებოდა ომახიანი სიმღერის ხმა. დაოჯახებამ ძუკუ საქმეს

ვერ მოწყვიტა. მეუღლე მასწავლებლობდა, ძუკუ კი კვლავ საგუნდო ხელოვნების მორევში გადაეშვა.

1921 წელს ძუკუ დასავლეთ საქართველოს სახალხო გუნდების ინსტრუქტორად დაინიშნა, რასაც მისი სოფლიდან სოფელში და ქალაქიდან ქალაქში გამუდმებული სიარული მოჰყვა. ადგილზე ჩასული ძუკუ ჯერ შეკრებდა მომღერლებს, მოამზადებდა მათთან სიმღერებს, შემდეგ გამოარჩევდა ლობჯინაძეების ნიჭით დაჯილდოებულ პიროვნებას, ჩააბარებდა მას გუნდის ხელმძღვანელობას და მხოლოდ ამის შემდეგ სტოვებდა იქაურობას.

1923 წელს ძუკუ ლოლუას მწერალთა კავშირის ქუთაისის განყოფილებიდან მოუვიდა თხოვნა, ჩასულიყო ქუთაისში და ჩამოეყალიბებინა მომღერალთა გუნდი, რომელთან ერთადაც შემდგომში მოსკოვში უნდა გამგზავრებულიყო. ძუკუ ლოლუამ შეკრიბა შესანიშნავი ახალგაზრდობა, დაიწყო ინტენსიური მეცადინეობები. შედეგად არ დააყოვნა და ძალიან მალე გუნდმა რამდენიმე კონცერტი გამართა ქუთაისში, ხოლო 1924 წლის მაისის პირველ რიცხვებში სანდრო კავსაძის საიუბილეო კონცერტში მონაწილეობის მისაღებად გაემგზავრა თბილისში.

ჩანსვილიან მეთრე დღეს ძუკუ ავად გახდა, რის გამოც გუნდი კონცერტზე მის გარეშე გამოვიდა. ექიმებმა ტიფის დიაგნოზი დაუსვეს. გამოკეთებას პირი არ უჩანდა. აუცილებელი იყო ძუკუს საავადმყოფოში გადაყვანა. მკურნალობა და ყურადღება თავის თავზე აიღო ექიმმა შალვა მიქელაძემ, მაგრამ 1924 წლის 9 აგვისტოს ძუკუ ლოლუა გარდაიცვალა. დაკრძალეს თბილისში, ვერის სასაფლაოზე, მოგვიანებით კი გადაასვენეს ქალაქ ფოთში.



ახალი ხორავა

კეთილშობილი საბჭოთა ინტელიგენტი პლატონ კრეჩეტი, ღმერთების წინააღმდეგ ამხედრებული მეფე ოიდიპოსი, ალბანეთის ეროვნული გმირი სკანდერბეგი, ბალღივით გულღია და მიმნდობი, კეთილშობილი შექსპირისეული მავრი ოტელო – აი, არასრული სია სცენური და კინოსახეებისა, რომლებიც შექმნა დიდმა ხელოვანმა, საბჭოთა კავშირის სახალხო არტისტმა აკაკი ხორავამ.

აკაკი ხორავას რომ მხოლოდ ოტელოს სახე შექმნა, ისიც კი იკმარებდა მისი სახელის შარავანდედით შესამოსავად, ვინაიდან მისი ოტელო მსოფლიო შექსპიროლოგიამ აღიარა ნამდვილ, განუმეორებელ შექსპირულ სახედ.

ეს იყო 1937 წელს. წლების განმავლობაში ქუხდა აკაკი ხორავა-ოტელოს სავერდოვანი

ხმა საბჭოთა კავშირის თეატრების სცენებზე და აღტაცებაში მოჰყავდა მსმენელი და მაყურებელი. 1947 წელს გახეთი “პრავდა” წერდა: “საბჭოთა კავშირის სახალხო არტისტმა აკაკი ხორავამ ოტელოს როლში მიაღწია მწვერვალს, სანამდეც მსოფლიო თეატრალურ ისტორიაში ძალიან ცოტა ვინმე თუ ასულა”.

აკაკი ხორავა იყო ტრაგიკული პლანის მსახიობი, ზედმიწევნით ფლობდა ტრაგიკული ხასიათის გახსნის სცენურ საიდუმლოებას. მისი სამსახიობო ხელოვნება არის მასშტაბური, მონუმენტური. აკაკი ხორავას გმირები ყოველთვის ძლიერნი, ნებისყოფიანი ადამიანები არიან, თავდავიწყებით უყვართ სიცოცხლე და თავდადებით იბრძვიან სიცოცხლისათვის, სიყვარულისათვის, ბედნიერებისათვის.

აკაკი ხორავა დაიბადა 1895 წლის 17 აპრილს ზუგდიდის მაზრის პატარა სოფელ ოჩხა-

მურში. ქალაქ ქუთაისის კლასიკური გიმნაზიის დამთავრების შემდეგ წარმატებით სწავლობდა უკრაინის დედაქალაქ კიევიში, სადაც სამედიცინო განათლებას ეუფლებოდა.

1922 წელს შევიდა აკაკი ფაღავას თეატრალურ სტუდიაში.

აკაკი ხორავამ, როგორც პროფესიონალი მსახიობმა, ფეხი აიდგა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო თეატრში, რომელსაც შემდგომ წლების განმავლობაში თვითონ ხელმძღვანელობდა.

აკაკი ხორავა ეწეოდა ფართო პედაგოგიურ და საზოგადოებრივ მოღვაწეობას – მისი ინიციატივით შეიქმნა საქართველოს თეატრალური საზოგადოება, თეატრალური ინსტიტუტი, სადაც თავად პედაგოგობდა. საბჭოთა კავშირის სახალხო არტისტი აკაკი ხორავა იყო მშვიდობის დაცვის საქართველოს რესპუბლიკური კომიტეტის თავმჯდომარე, სახ-

ელმწიფო პრემიების კომიტეტის წევრი. მინიჭებული ჰქონდა საბჭოთა კავშირის სახალხო არტისტის წოდება. იყო სახელმწიფო პრემიების ოთხგზისა და კანის მე-7 საერთაშორისო კინოფესტივალის პრემიის ლაურეატი. სიცოცხლის დასრულებამდე ასწავლიდა მსახიობის ოსტატობას თბილისის სახელმწიფო თეატრალურ ინსტიტუტში. კინოსა და თეატრში, აკაკი ხორავას, წლების განმავლობაში, განსახიერებელი ჰყავს 100-ზე მეტი გმირი.

ქართული თეატრისა და კინოს დიდოსტატი აკაკი ხორავა გარდაიცვალა 1972 წლის 23 ივნისს ქალაქ თბილისში. დედაწმოსილი მსახიობის ცხედარი მადლიერმა ქართველმა ერმა პატივითა და დიდებით მიაცილა მოაწმინდის საფანქმდე. მას არც სიცოცხლეში მოკლებია ხალხის პატივი და სიყვარული, და არც გარდაცვალების შემდეგ, რადგან მის საფლავზე მუდამ ალაგია ახალი ყვავილები.

ამის დაბრუნება, ან დაბრუნების უფლება არც რუსსა აქვს და არც ქართველს!

(ნაწევრები ვასილ ველიჩკოს
წიგნიდან "კავკასია")

1904 წელს, ამ წიგნის ავტორის ვასილ ველიჩკოს გარდაცვალების შემდეგ, მისი მოწაფეების მიერ „კავკასიის“ წიგნად გამოცემამ ძალზე ააფორიაქა მთელი პლანეტის სომხური მოსახლეობა. ინგლისში მცხოვრებმა სომეხმა დიდგვარმა გულბეგიანმა იმ დროისათვის ზღაპრული თანხა – ხუთი მილიონი ფუნტი სტერლინგი (დღევანდელი კურსით, დაახლოებით სამასი მილიონი დოლარი) – გადაიხადა, რათა ამ წიგნის მთელი ტირაჟი გაეყიდვინა ამოვლით და გაენადგურებინათ, მაგრამ, როგორც ხედავთ, ვერაფერს გახდა. თუმცა, სომეხებმა ნაწილობრივ მაინც მიაღწიეს საწადელს, რადგან წინამდებარე წიგნი გახდათ ვასილ ველიჩკოს მთლიანი ნაშრომის პირველი ტომი, მეორე ტომი კი, საერთოდ აღარ გამოშვალა და, ჩვენი დიდი ძიების მიუხედავად, მაინც ვერ მოვახერხეთ მისი პოვნა. როგორც ჩანს, ამ ტომის ხელში ჩაგდება და განადგურება გარკვეული საზღაურის ფასად მაინც მოახერხეს სომეხებმა.



ნონთა სრულ კრებულში დაწვრილებულია ასახული.

იმ სახელმწიფოებრიობის დიალიკეტიკა, რომელსაც სიკვდილიანობა, ერთგულება, დისციპლინა, თავგანწირვა, მატერიალურ სიკეთეზე უარის თქმა და სისხლის გაღება სჭირდება, არ შეიძლება რასის კეთილშობილების პატენტად გამოვსვათ. მაგრამ, გარემო პირობების სირთულის გამო მეხოხბობისათვის დიალიკეტიკა ძალზე უთანასწორო იქნებოდა. ამდენად, მონურ ომზე გადასვლა მთლად ნებაყოფლობით არ იყო; მეორეს მხრივ, თეოკრატიაზე გადასვლა იმდენად იყო ბრძნული აქტი, რამდენადაც სწორედ თეოკრატიაში შენარჩუნებინა სომეხებს თვითმყოფადობა და ეს თვითმყოფადობა სასწაულებრივად აღდგინდა იქ, სადაც თითქოსდა საუკუნოდ იყო მიძინებული.

დარწმუნდით, იმპერატორმა უკანასკნელს, რომ **“მისი იქ ყოფნა არაფრის მომტანია”**.
საინტერესოა, რომ მე-18 საუკუნის რუსეთის მეფე-ქალებიდან (აღბათ, გრაფ ვოლინსკისაგან მიღებული ცნობების საფუძველზე, რომელიც კარგად იცნობდა სომეხებს), ანა იოანეს ასული, მიუხედავად მის მიერ განხორციელებული ქრისტიანული პოლიტიკისა, უნდობლად უცქერდა ამ უკანასკნელს, რადგან მისი მხედართმთავრები მუსულმანებს ამარცხებდნენ. ეკატერინე მეორე კი, პირიქით, სულში იძვრებდა სომეხებს, რასაც, ძირითადად, მის კარზე გამეფებულ უზნეობას და არაჩვეულებრივ ფუფუნებას მიაწერდნენ. მეფის კარზე ბევრი მოხელე იღებდა “ფეშქაშს” მდიდარი სომეხი ვაჭრებისაგან. გარდა ამისა, თავადი პოტიომკინი ყოველთვის გამოირჩეოდა ამოუწურავი ფანტაზიით და ალბათ ისიც ოცნებობდა სომხეთის ზეგანზე ქრისტიანული სახელმწიფოს აღორძინებაზე.

სომეხების დანარჩენ ისტორიას, რომელიც საგვსა მათდამი უცხოელ მთავართა დამამცირებელი დამოკიდებულებით, ყოველთვის, თუნდაც **სუსტ ხაზად სომხეთის ხალხისა და სახელმწიფოს აღორძინების იმედი გასდევდა**.

ეკატერინე მეორის მეფობის დროს სომეხებს გამოუჩნდა ყოველმხრივ შესანიშნავი პიროვნება, დაუოკებელი ენერჯის მქონე, პოლიტიკურად ფხიანი, არც თუ იშვიათად – მომაბუზრებელი. იგი არქივისკოპოსი იოსები გახლდათ, წარმოშობით გაქართველები კულტურული სომხური ოჯახიდან, რომელსაც ქართველ მეფეთაგან თავადის წოდება ჰქონდა მინიჭებული. მისი გვარი – არღუთაშვილი-მხარგრძელი რუსულ ყოველდღიურობაში, რუსული ფანტაზიისვე წყალბოთი, როგორც “არღუთისკი-დოლოგორუკი” შევიდა. როურიკების დოლოგორუკთან მათ, რა თქმა უნდა, არაფერი აკავშირებთ. ხსენებულმა არქივისკოპოსმა იოსებმა სამხრეთ რუსეთში სომხური ქალაქი “დონის ნახიჭევანი” დაარსა. ყირიმიდან და თურქეთიდან გადმოხვეწილი 15.000 სომხის ბაზაზე ჩამოსახლებულებს საკმაოდ კარგი შეღავათები დაუწესდა: ხაზინის ხარჯზე ყირიმში მთელი ქონების გადახიდავა, 12.000 დევნილი საძოვარი იალდაი, საფუშაოებისა და რეკრუტისაგან განთავისუფლება, 10 წლით ყველა სახის ბეგარის მოხსნა; ყოველ მოსახლეს 30 დესეტინა მიწა გამოეყო; ხე-ტყე და სახლის ასაშენებელი მასალა უსასყიდლოდ გადაეცათ, სათესლე მასალა, საქონელი და ინვენტარი კი 10 წლის შემდეგ ანაზღაურების პირობით. ყოველივე ეს კა-

ნონთა სრულ კრებულში დაწვრილებულია ასახული.

საქართველოში, ერეკლე მეორის მეფობის ეპოქაში, იგივე არღუთისკის მცდელობით, ვიღაც ყარაბახელი მელიქები ჩამოსახლეს თავიანთი ყმა-გლეხებით, რომელთაც შულავერის დასახლება შექმნეს. ორმა მელიქმა, მეჯნურმა და აბოშ, თვალის დახამხამებაში უღალატეს თავის ახალ მფარველს – მეფე ერეკლეს და 1795 წელს **აღამაზდ ხანს ტფილისში შემოუძღვნენ**, რომელმაც ქალაქი მიწასთან გაასწორა. ეს ფაქტი ეროვნებით სომეხმა გენერალ-ლეიტენანტმა ს.ო.ქიშიშოვმა აღიარა. სანქტ-პეტერბურგის უნივერსიტეტის პროფესორი ა.ა.ცაგარელი საფუძვლიანად აღნიშნავს, რომ მე-18 საუკუნის მიწურულს არქივისკოპოსმა იოსებმა ენერჯიული საქმიანობა გააჩინა, მაგრამ **“ფრიად არახელსაყრელი, რუსეთის მთავრობის გეგმებისა და შესხვედლებებისათვის”** ამ დასკვნის დასტურში შეიძლება აკადემიკოს ნ.ფ.დუბროვინის ნაშრომში იხილოთ, რომელიც აღნიშნავს, რომ 1796 წელს **სომეხი არქივისკოპოსი უბოდიშოდ ჩაერთა დაპყრობილი დერბენტის სახანოს საქმეებში** და მუსულმანებთან შედარების არცერთ შემთხვევაში არ უშვებდა ხელიდან; მათ სომეხთა წინაშე ამცირებდა; დერბენტში ხანმოკლე ყოფნის პერიოდში მთელი მოსახლეობა აიძვდრა. გრაფმა ზუბოვმა იოსები მთავარ ბინაში გამოიძახა, მაგრამ აქაც საჭირო გახდა ზომების მიღება, რათა არქივისკოპოსის პოლიტიკური მიზანმიმართული შეზღუდვები შეზღუდულიყო. დაუახლოვდა რა ექიმადინის პატრიარქს ისე, რომ ნებართვა არავისგან აუღია, მათ ერთობლივად შეადგინეს – **“ყოველქიური მიმართვა ყარაბახში და კავკასიის სხვა ადგილებში მცხოვრებ სომეხებს”**. ამ მანიფესტში ეწერა, რომ რუსეთის ჯარი სპარსეთში მხოლოდ ერთი განზრახვით შევიდა – **“გაანთავისუფლოს სომეხები მუსულმანთა უღლისგან და მოუპოვოს მათ დამოუკიდებლობა”**. ამას დიდი მღელვარება მოჰყვა მთელ ამიერკავკასიაში. **სომეხები დიდი სიმბოხის სამეფოს აღდგენაზე ოცნებობდნენ**.

მისოდ სამეფო გვირგვინიც კი ჰქონდა გამოხადებული. ჯერ კიდევ რუსეთში ყოფნისას არღუთისკი-დოლოგორუკი ექიმადინის პატრიარქის ტახტის დაკავებას აპირებდა, რისთვისაც პატრიარქის სამოსში გამოწვობილმა შეუკვეთა საკუთარი გრავირებული პორტრეტი.

სომხური ეკლესიის პოლიტიკურობის კლასიკურ ნიმუშს წარმოადგენს სომეხთა დიდი აპოლოგეტის – ეხოვის ბროშურა “ექიმადინის საპატრიარქოს რუსეთის ხელისუფლებასთან ურთიერთობის დასაწყისი”. მე-18 საუკუნის დასასრულს, ექიმადინის კათოლიკოსის თანხმებულ საყოველთაოდ სასულიერო პირთა მიერ ტახტზე იქნა აყვანილი არქივისკოპოსი გუკასი (ლუკა). კონსტანტინოპოლის სომეხთა პატრიარქმა ზაქარიამ პროტესტი გამოთქვა. გუკასი მას თბილ წერილებს უგზავნიდა. ამასობაში კი კონსტანტინეპოლის სომხურმა დიასპორამ თურქეთის ხელისუფლებას ზაქარიას გადაყენების ნებართვა გამოსცემა. ეხოვის ამ ნაბიჯისთვის ცამდე აყვავს გუკასი, რომელიც ასევე არ დაუშვა ექიმადინის ტახტზე განცალკევებული განძასარის მინასტრის აგვანელი პატრიარქის იზრაელის აღზევება. საუბარია იმაზე, რომ დარტყმა მიეყენებინა აგვანეთის განცალკევების მსურველ საპატრიარქოზე და დაეწესებინა იქ თეოკრატული მმართველობა. ამ საქმეში ჩინოფნიკთა წინააღმდეგობის თუ ანგარებითი გარიგების შედეგად, სომეხებს თეატრალური ერთსულოვნებით მხარი დაუჭირეს რუსეთისა და თურქეთის მთავრობებმა, მიუხედავად იმისა, რომ მათ ერთმანეთისაგან განსხვავებული ინტერესები ამოძრავებდათ. კონსტანტინეპოლში ჩვენი წარგზავნილი, სახელად ტომარა, 1801 წელს თანაგრძობით ატყობინებდა მთავრობას, რომ გუკასი ესწრაფოდა “თავისი ერის აღორძინებას რუსეთის დახმარებით”. უცხოელი კათოლიკოსის ინტერესებიდან გამომდინარე, აგვანეთის პატრიარქი ჯერ შეავიწროვეს, შემდეგ კი, ყითარბასისა და განჯის რუსეთთან შეერთებისთანავე, შეუმჩნეველად გააუქმეს მთლიანად საპატრიარქო, რაც მისი **ეს-კამოტრება** გახლდათ. აღმოჩნდა, რომ **თურქმა პოლიტიკოსებმა მეტი შორს-მჭვრეტელობა გამოიჩინეს, ვიდრე მათმა რუსმა კოლეგებმა**. მათ მხარი დაუჭირეს თავიანთი ქვეყნის ფარგლებში სიოსის და ახტამარის საპატრიარქოთა დამოუკიდებლობას **“ყოველთა სომეხთა კათოლიკოსისგან”**.


ხურ-გრიტორიანულ სარწმუნოებასთან დაკავშირებით უაღრესად კეთილშობილური ინფორმაციის გავრცელებაზე იზრუნა. 1799 წელს სანქტ-პეტერბურგში გამოვიდა რუსეთში დამკვიდრებულ სომეხთა საწმესოს არქივისკოპოს იოსების წიგნი **“სომხური ეკლესიის ქრისტიანული სარწმუნოების აღმსარებლობა”**, რომლის მე-14 გვერდზე ავტორი წერს: **“ერთი სახე ერთი იერო, შენითებულა ერთ ბუნებრიობასთან”**; 50-ე გვერდზე იოსები განმარტავს, რომ **“ბუნებრიობაში”** იგულისხმება **“სახე”**. მაშინ რა საჭირო იყო ორი ერთმნიშვნელოვანი ცნების მოყვანა! გასაგებია, რომ იგი ეცადა სომეხების მონოფიზიტობის მიჩქმალვას. მან ასევე მიჩქმალა კათოლიკოსი იოანე მეოთხის სახელის, რომელიც სომხურ ეკლესიას წმინდანად ჰყავს შერაცხული და რომელმაც არაბი მუსულმანების საამებლად ქალკედონის ეკლესია ანათემას გადასცა და შემდეგი გადაწვევით გაამოაქვეყნა: **“ანათემა მს, ვინც იტყვის, რომ ქრისტე ადამიანი იყო თავისი ბუნებით, რომ იგი იყო ხორც შესხმული და გადაიტანა ხორციელი წამება, ეზიარა სიკვდილს ადამიანთა მსგავსად, ანათემა მს! ვინც არ აღიარებს ქრისტეს ერთსახოვან უკვდავ ბუნებრიობად, ანათემა მს!”**

ხელაღდგენ რა, რომ ყოველივე ეს მართლმადიდებელთა თვალში სომხურ ეკლესიას შეურაცხყოფს, მე-13 საუკუნის სომეხი ისტორიკოსი კირაკოსი, მოგვიანებით კი ხსენებული იოსები და კათოლიკოსი ნერსესი სომხური მონოფიზიტობის მიჩქმალვას ცდილობდნენ.

ამ მიჩქმალვებს ნათელს ჰყენს ციმბირის სასულიერო აკადემიის პროფესორი ტროიციკი 1877 წელს გამოცემულ ნაშრომში **“სომხური ეკლესიის რწმენის შინაარსი”** და ანისკინი **“სომხური ეკლესიის ისტორიაში”**, რომელიც 1900 წელს გამოიცა წიგნად კიშინიოვში.

ტყუილად კი წიხლად არქივისკოპოსი იოსები, რადგან იმ პერიოდის რუსულ ბიუროკრატიას სრულიად არ ანადგვებდა მართლმადიდებლური პრინციპები. სომხური საქმე რუსულ საზღვრებში მაშინ გიგანტური ტემპებით ვითარდებოდა და ახალი სიმაღლეებისკენ განუხრელად მიიწვედა. თურქმენიანთა ტრაქტატთა ექიმადინის რუსეთის შემადგენლობაში შევიდა, კათალიკოსი კი მთელი მსოფლიოს სომეხთა პატრიარქად დარჩა. ქართული მართლმადიდებლური ავტოკეფალია ჩვენ დროულად გავაუქმეთ, მიწები ჩამოვართეთ და ხაზინას გადავეცით, რის გამოც რუსეთის სახელმწიფოში შეიქმნა სომხური თეოკრატული სახელმწიფო სახელმწიფო, რომელიც მიუწვდომელი იყო კონტროლისათვის და პოლიტიკური საწმესოს თვალში ვეებერთელა ავტორიტეტი გააჩნდა. პასკევიჩის დროს სპარსეთიდან სომეხების გადასაყვანად პოლკოვნიკი ლახარევი გაიგზავნა, რომელსაც თან დაახლოებით 40.000 სომეხი ჩამოჰყვა **გაგრძელება იქნება**

შინ და რატომ ებრძვის პატრიარქს?



„მე არ შემძლია უთქვენოდ და თქვენ არ შეგიძლიათ უჩემოდ“- ასე მიმართა ილია II-მ მრევლს დროის საკმაოდ დაბაბული მონაკვეთის დასასრულს, რომელიც მის ავადმყოფობას და ეკლესიის წინააღმდეგ განაღებულ უპრეცედენტო კამპანიას უკავშირდებოდა. შეხვედრის სინარჯულთან ერთად, მის სიტყვებში აირეკლა ის განწყობაც, რომელიც ამ პერიოდში საზოგადოებაში სუფევდა.

აღსანიშნავია, რომ გასულ თვეში, რამდენიმე პოლიტიკოსმა და საზოგადო მოღვაწემ, თითქმის ერთდროულად, მკაფიოდ მიუთითა იმაზე, რომ საქმე გვაქვს აშკარა შთოქმულებასთან პატრიარქის და ეკლესიის წინააღმდეგ. არსებობს თუ არა ეს შეთქმულება? ვინ და რატომ ებრძვის პატრიარქს? საუბარი ამ თემაზე გარკვეულ სიფრთხილეს მოითხოვს, რათა ფაქტები და ჭორები ერთმანეთში არ აგვერიოს. ეს ერთობ ჰგავს იმ მკვლევარის სამუშაოს, რომელმაც რამდენიმე ძველის მიხედვით უნდა აღადგინოს დინოზავრის ჩონჩხი, ან ერთ ნაფხვსზე დაყრდნობით მთელი პოპულაციის ბედი აღწეროს. შეცდომებისგან დაზღვეული ამ შემთხვევაში ვერაფერ იქნება. მთავარი კითხვა კი, ალბათ, შემდეგია: რა უნდათ პატრიარქის მოწინააღმდეგეებს კონკრეტულად? რა (ვინ) აიძულებს მათ მკვეთრად გააქტიურდნენ?

მათი სახელი ლეგიონია
დასაწყისისთვის, მიზანშეწონილია ჩამოთვალოთ ის ჯგუფები, რომლებიც მონაწილეობდნენ პატრიარქის ან მისი იდეების მწვავე კრიტიკაში, მის წინააღმდეგ მიმართულ სხვადასხვა ტიპის აქციებში, როგორც ამ ბოლო დროს, ისე ადრე.

1) ლიბერალური შეხედულებების მქონე სექულარისტების ჯგუფი. მის ბირთვს ხელისუფლებასთან დაახლოებული რამდენიმე ინტელექტუალი წარმოადგენს. ილია II, მათი მთავარი საზრუნავია ეკლესიასა და სახელმწიფოს შორის ურთიერთობის მოწყობა საკუთარი რწმენა-წარმოდგენების მიხედვით. თუმცა, ბოლო დაპირისპირებაში ამ ჯგუფის მთავარ ფუნქციას წარმოადგენდა მოვლენების წარმოჩენა ბუნებრივ კონფლიქტად „პროგრესულ საზოგადოებასა და რეგრესულ საპატრიარქოს შორის“, მთავარ ასპარეზს კი ხელისუფლების მიერ კონტროლირებადი მედია.

2) ყოფილ სასულიერო პირთა და საპატრიარქოს სასწავლო დაწესებულებების ყოფილ სტუდენტთა ერთი, ფრიად კონსოლიდირებული ჯგუფი. მათ სურთ ეკლესიის გარდაქმნა საკუთარი შეხედულებების მიხედვით, „დროის მოთხოვნების შესაბამისად“ და საეკლესიო სტრუქტურაში დამკვიდრება. ამ ჯგუფის წინაშე ბოლო დროს რამდენიმე ტიპის ამოცანა დგას ა) ინფორმაციის შეგროვება საპატრიარქოს შიგნით მიმდინარე პროცესებზე ბ) აქტიური ღონისძიებები პატრიარქის დისკრედიტაციისათვის გ) საკუთარი რიგების გაფართოება ახალგაზრდების გადმოზრუნვის გზით, როგორც საეკლესიო სტრუქტურის შიგნით, ისე მრევლში და ჭორების გავრცელება და ა.შ.

3) ცალკეული სასულიერო პირები, რომლებმაც საკუთარი გავლენის გაფართოებისათვის გადაწყვიტეს მოკავშირეები ეკლესიის გარეთ მოეძებნათ. ამ ჯგუფის მთავარი (სამომავლო) ფუნქცია დაახლოებით ისეთია, შუა საკუნეებში რომ ჰქონდათ იმ ადამიანებს, რომელნიც გადაწყვეტი შტურმის დროს მოწინააღ-

მდეგეს უღებდნენ კარიბჭეს. დღეს ისინი დაკავებული არიან ინფორმაციის შეგროვებით და უმადოლოთა ფრთხილი გადმოხივებით. თუმცა, მათ ჯერ არ შეუძლიათ ეკლესიის შიგნით მძლავრი, განხეთქილებისთვის საკმარისი, ოპოზიციური ფრაქცია შექმნან.

4) მიხეილ სააკაშვილის თანაგუნდელების და მომხრეების ჯგუფი, რომლის წევრები მიიჩნევენ, რომ ილია II-ს ავტორიტეტი და ეკლესიის მხარე გავლენა საფრთხეს უქმნის მათი მიზნების განხორციელებას. მათ ხელშია უზარმაზარი სახელისუფლებო და მედიარესურსი, თუმცა ისინი ნაწილობრივ შეზღუდული არიან მის გამოყენებაში, რადგან პატრიარქის წინააღმდეგ მიმართული ქმედებების გამოაშკარავება საზოგადოების მკვეთრად უარყოფით რეაქციას გამოიწვევს. ამ ჯგუფის წევრებს, შეუძლია მიხეილ სააკაშვილზე ზეგავლენის მოხდენა, რათა დაარწმუნონ ამა თუ იმ განცხადების ან მოქმედების აუცილებლობაში.

5) გარკვეული ჯგუფი ადამიანებისა, რომლებიც საკუთარ თავს პრეზიდენტ გამსახურდიას მომხრეებს უწოდებენ, თუმცა დღეს, უკვე საკმაოდ შორს დგანან მისი იდეებისგან და „ზვიადისტების“ ძირითადი ნაწილისაგან. ისინი სავესებით გულწრფელად თვლიან, რომ ილია II-ს პოზიცია 1991-93 წლების კრიზისის დროს არასწორი იყო. მათ ძირითად ფუნქციას წარმოადგენს მოქმედება პატრიარქის იმიჯის შესახებ. ჯგუფის ასპარეზი შეზღუდულია, თუმცა მას აქტიურობა ახასიათებს.

6) რადიკალების ჯგუფი ეკლესიის შიგნით, რომლებიც პატრიარქს „ზედმეტი ლიბერალურისათვის“ აკრიტიკებს. მათი მთავარი ამოცანა ეკლესიის ფუნდამენტალისტურ პოზიციებზე გადაყვანაა. ისინიც გულწრფელად მოქმედებენ და არ იმყოფებიან კავშირში ჩამოთვლილ ჯგუფებთან, თუმცა ეს არ გამორიცხავს მათ ირბო გამოყენებას სავარაუდო შეთქმულების მიზნებიდან გამომდინარე.

7) უცხო კონფესიების ის წარმომადგენლები, რომლებიც ტრადიციულ დაპირისპირებაში იმყოფებიან საქართველოს საპატრიარქოსთან. მართალია ამ დაპირისპირებას აქვს გარკვეული შემზღუდავი წესები, რომელთაც მხარეები იცავენ, თუმცა ამ ჯგუფებს ვერაფერ შეაკავებს იმისაგან, რომ ისრავებლონ შექმნილ დაბაბულებით და კრიტიკულ მომენტში მკვეთრად გააქტიურდნენ.

8) იმ უცხო ქვეყნების (ან ტრანსნაციონალური გაერთიანებების) რეზიდენტურები, რომლებიც თვლიან რომ ქართული ეკლესიის შეხედულებები, მისი დღევანდელი როლი ქართულ საზოგადოებაში სახიანოა მათი სასიცოცხლო ინტერესებისათვის. მათ შეუძლიათ შესრულონ მნიშვნელოვანი როლი სხვადასხვა ჯგუფების კოორდინაციაში, მათ უზრუნველყოფაში ინფორმაციით, გეგმების შედგენაში და ა.შ. (ამ ჯგუფის საქმიანობის ანალიზის დროს ილია გადაავარდნე შეთქმულების თეორიაში, ასე რომ აღვნიშნოთ, რომ ისტორიაში უამრავი მაგალითია იმისა თუ როგორ ცდილობდა ესა თუ ის სახელმწიფო დაპყრობილი ან დასაპყრობი ქვეყნის იერარქების და საეკლესიო სტრუქტურების გამოყენებას).

9) ჯგუფი, რომელსაც პირობითად შეიძლება „მომაგლის რეზერვი“ ვუწოდოთ. იგი აერთიანებს იმ პოლიტიკოსებს და არასამთავრობო ორგანიზაციების აქტივისტებს, რომლებიც დღეს, ტაქტიკური მოსაზრებებიდან გამომდინარე არ უპირისპირდებიან პატრიარქს პროფულად. ჯერჯერობით, მათი მთავარი ფუნქცია მისი იდეების (მონარქიის აღდგენა, განათლების სისტემის გაჯანსაღება და ა.შ.) დისკრედიტაციაა. ეს ადამიანები ესტაფეტას სააკაშვილის ხელისუფლებიდან წასვლის შემდეგ მიიღებენ.

ყველა ეს ჯგუფი ადრეც აწარმოებდა საკუთარ, ერთგვარ პარტიზანულ ომს ეკლესიის წინააღმდეგ. თუმცა ბოლო თვეებში მათი ძალისხმევა, აშკარად კოორდინირებული, ერთი გეგმის ფარგლებში მოქმედი გახდა (რასაც თავად ჩამოთვლილი აქტივისტების დიდი ნაწილი, ალბათ, ნაკლებად აცნობიერებს) და სერიოზული საინფორმაციო უზრუნველყოფა მიიღო. შეი-

ძლება განდევს კითხვა, ვინ ახდენს ამ ჯგუფების კოორდინირებას? ვინ ხელმძღვანელობს ოპერაციას?

ამასთანავე, იბადება ერთი კითხვაც – რატომ არ ხდება საპატრიარქოს მიერ საკუთარი მოწინააღმდეგეების სახელობითი ჩამოთვლა, მხილება, საკითხების დაკონკრეტება. ჩამოთვლილ ჯგუფებს საზოგადოება ხომ ისედაც აღიქვამს, როგორც მარგინალურს და უბრალოდ საბოლოოდ მოიკვეთავს მათ, რაც ერთობ განმუხტავს დაძაბულობას. ეს, თითქოსდა, ლოგიკური იქნებოდა. რატომ არ აკეთებს ამას პატრიარქი? ამასთან დაკავშირებით, ერთი ძველი ისტორია გამახსენდა:

კეთილი უყავით თქვენს მოძულეთ...

1945-46 წლებში ნიურნბერგის პროცესის პარალელურად ევროპაში სხვა, დღეს ნაკლებად ცნობილი სასამართლო პროცესები იმართებოდა, სასამართლებდნენ დამნაშავეებს საკონცენტრაციო ბანაკების პერსონალიდან. ერთ-ერთ ასეთ პროცესზე საგულისხმო შემთხვევა მოხდა.

ყველაფერი მარტივად – ბატონო, სამართლიანობის ზეიმი, – განსახილველად სკამზე „სს“-ის ოფიცერი, მკვლელი და სადისტო; მოწმის ადგილზე კი მისი მსხვერპლი, ცოცხალ-მკვლარი, აწრდილად ქცეული ყოფილი პატიმარი, რომლის თვალწინ ბრალდებული დღიდან დღემდე ხოცავდა ადამიანებს, ხოლო თავად მას ისე აწამებდა, რომ ალბათ სჯობდა თავიდანვე მოეკლა. მოყვება მოწმე თავის ამბავს – აღსრულებდა მართლმსაჯულება და იხეიძებს სამართლიანობა, ელოდება საზოგადოება და მოსამართლე; თითქოს ყველა ის პატიმარიც, ყველა ის ბავშვიც, რომელიც მოკლა ამ არაკაცმა, აქვე დარბაზშია და ელოდება, რას იტყვის მოწმე.

და მოწმემო თქვა... „მე არ მოგცემთ ჩვენებას ამ ადამიანის წინააღმდეგ“. რატომ? – იკითხა (ალბათ გაოგნებულმა) მოსამართლემ.

„იმიტომ რომ, მე მივხვდი, – თქვა მოწმემ, – მივხვდი, რომ გამწინათვის მისი სული, ისეთივე ძვირფასია, როგორც ჩემი“. თქვა და გავიდა დარბაზიდან.

რა თქმა უნდა მოიძებნენ სხვა მოწმეებიც. რაღა თქმა უნდა ზედამხედველი გასამართლეს, განაწენი გამოუტანეს და ჩამოაღრჩვეს კიდევაც. ერთია მხოლოდ, სიკვდილის წინ მან დღევანდელი შეხვედრის ითხოვა, აღსარება ჩააბარა და ესაიარა.

„გიყვარდით თქვენი მტრები და კეთილი უყავით თქვენს მოძულეთ“...

თითქოსდა, ყველაფერი გაიოლდებოდა, თუ მკაფიოდ გააქედრებოდა ვინ ებრძვის პატრიარქს და ეკლესიას. ორიოდ საათში, პრობლემა, გამარტივებული, სავრო გაგებით, მიიხსნებოდა. მაგრამ ეს არ მოხდებოდა. რამდენადაც მესმის, ილია II იმით განსხვავდება თავისი მტრებისგან, რომ არ სძულს, მათ შეგობრუნებაზე ფიქრობს და დამატებით დროს აძლევს. ეს ფაქტორი დაპირისპირებაში მნიშვნელოვან როლს თამაშობს, კონფლიქტის ანატიმია კი, ცოტა უფრო რთულია, ვიდრე ჩანს.

რატომ ჩქარობენ ასე?

თითოეული ჯგუფებიდან, ცალკე აღებული საშიშროებას არ წარმოადგენს. მეტიც, მათ ნაწილობრივ პოლემიკა, ალბათ სასარგებლოცაა გამოსეკულარული ეპოქის კონტურების გამოსკვითვის პროცესში, რომელზეც დღეს ამდენს საუბრობენ. საშიშნი ისინი მხოლოდ მაშინ ხდებიან, როდესაც ერთი სტრატეგიული გეგმის ფარგლებში მოქმედებენ.

ეკლესიის გავლენის ზრდიდან, ავტორიტეტად არ გამოდინარეობს მასთან ბრძოლის აუცილებლობა. თუ ხელისუფლებასა და ეკლესიას შორის (ისტორიაში ბევრი მაგალითია) რიგ პრინციპულ საკითხებზე მაინც კონსენსუსი არსებობს, მასშტაბურ შეტაკებას მათ შორის ადგილი არ ექნება. საქართველოში ასე არ არის.

პატრიარქის ქადაგებებში შეიძლება გამოიყოს რამდენიმე მნიშვნელოვანი მომენტი, რომელიც უკავშირდება საქართველოს მიმავალ განვითარებას, ახალგაზრდობის ბედს. იგი საუბრობს ტრადიციების ერთგულებაზე, როგორც ერის გადარჩენის მთავარ წინაპირობაზე, მიზანმიმართულ შეტევაზე, რომელიც ერთგული ცნობიერების წინააღმდეგ ხორციელდება, იმაზე,

რომ საგანმანათლებლო დაწესებულებებმა თავისი საქმიანობა უნდა წარმართონ საზოგადოების უმრავლესობის (მართლმადიდებელი ქრისტიანების) ინტერესების შესაბამისად. მის ქადაგებებში და ბოლო წლების ეპისტოლეებში ძალიან ბევრი საინტერესო ინიციატივაა – დემოკრაფიული პრობლემის გადაწყვეტის, განათლების, ეკონომიკის განვითარების, სოფლის მეურნეობის აღორძინების, ადამიანის უფლებების დაცვის და სხვა სფეროში.

მიუხედავად იმისა, რომ მისი იდეები პრინციპულ წინააღმდეგობაში მოდის ხელისუფლების პოლიტიკასთან, ეს თავისთავად არ არის საკმარისი მიზეზი იმ მასშტაბის მტრული მოქმედებისთვის, რომელიც გასულ თვეებში განხორციელდა.

არის კიდევ ერთი იდეა, რომელიც მთავარ მიზეზად გამოიხატება მისი მტრებისთვის, არამედ შეიცავს პოტენციურ საფრთხეს უცხო ქვეყნების ინტერესების განხორციელებისათვის. ეს, ერთი შეხედვით უწყინარი, მონარქიის აღდგენის იდეაა. საქმე იმაშია, რომ ხელისუფლების ლეგიტიმაციის წყარო, ჩვენთან, ისევე როგორც სხვა სუსტ სახელმწიფოებში, ქვეყნის ფარგლებს გარეთ მდებარეობს. ჩვენს პოლიტიკოსებს ხელისუფლებაში მოსვლისთვის ყოველთვის სჭირდებოდათ არაფორმალური, მაგრამ გადაწყვეტი თანხმობა მოსკოვიდან, შემდგომ ვაშინგტონიდან. მეფე ამ თვალსაზრისით თავისუფალია, იგი არ არის დამოკიდებული გარე ძალაზე. ეს, თითქოს, არაფერს ცვლის, რადგან მათთვის, ვინც რეალურად აკონტროლებს ხელისუფლების ბურკეტებს, ყველაფერი ძველებურად დარჩება. მაგრამ განხილვა ხელისუფლების ახალი ცენტრი, რომელსაც შეეძლება განახორციელოს მედიაცა და გავლენის სხვადასხვა ჯგუფებს შორის, და, მანვერების პროცესში თანდათან გამოიყვანოს მათი (და გარე) კონტროლიდან ქვეყნისთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი სფეროები; წამოაყენოს გარკვეული პირობები, იმ პრინციპების შესაბამისად, რომელსაც იზიარებს საზოგადოების მართლმადიდებელი უმრავლესობა – საქართველოს მდგომარეობა გაუმჯობესდება.

ამ ჭრილში მონარქიის აღდგენა შეიძლება განხილვით როგორც რეალური დამოუკიდებლობის მიღწევისათვის, დეკოლონიზაციისათვის აუცილებელი რევოლუციური იდეა, რომელიც არ მოსწონთ მათ, ვისი მიზნებიც საპირისპიროა.

ფაქტია, რომ პატრიარქის მოღვაწეობის შედეგად ეკლესიის გავლენა ძალიან გაიზარდა. მისი მოწინააღმდეგეები ცდილობენ დაასუსტონ ეკლესია ან საკუთარი იდეებს რეპორად აქციონ. ეს არ გამოხდით, ამასობაში კი, წარსულისაგან და სინდისისაგან თავისუფალი „ახალი ტიპის ქართველები“, რომელთა შექმნაზე ასე ზრუნავდნენ „ვარდების რევოლუციის“ მთავარი არქიტექტორები, სინჯარაშივე სულს დაფავენ და ფრიად სამარცხეინოდ წამუხუნებენ (დეტალები სოციოლოგებთან).

გააფთრებული ბრძოლის დაწყების მთავარი მიზეზი კი დროის დეფიციტია, ვინაიდან:

- ა) ეკლესიის მხარდაჭერის პირობებში ქართული საზოგადოება უბრუნდება ტრადიციულ ღირებულებებს და იწყებს აქტიურ ბრძოლას მათი დამკვიდრებისთვის. ეს პროცესი შეუქცევად ხასიათს იძენს.
- ბ) სააკაშვილის ხელისუფლებას უფინის დრო ძალიან სწრაფად იწურება, ხოლო ქვეყნის მიმავალ მმართველებს, მიუხედავად მათი ორიენტაციისა, ობიექტური მიზეზებიდან გამომდინარე ეკლესიის მართ გაცილებით ფრთხილი პოლიტიკის გატარება, მეტიც, აქტივად მიმდინარე ანტი-საეკლესიო კამპანიის მონაწილეების ქმედითი შეზღუდვა მოუწევთ.

საერთოდ, მათი ბოლო იერიში რადიკალურად დამარცხებული ჯარის ქმედებას, რომელიც ძალთა უკანასკნელი მოკრებით ცდილობს გააძლიეროს გამარჯვებულთა სარდალი. ამ დროს ალბათ ყურადღების, ნებისყოფის და მოთმინების შენარჩუნებაა საჭირო. სწორედ იმ მოთმინების, რომელსაც ილია II-მ თქვა: „მან ვინც ისწავლა მოთმინება, ისწავლა თითქმის ყველაფერი“.

რ. შალამბერიძე

ხსოვნის სტრიქონები

ნაწევრებს მეგრულ ენაზე შექმნილი ისტორიული პოემიდან "ბულათია", რომლის ავტორი გახლავთ თავდადებული მამულიშვილი და ჭეშმარიტი პოეტი დანიელ პავლეს ძე ფიფია, გთავაზობთ გაზეთ "ილორში". 113-ე წელი ილევა პოეტის დაბადებიდან. იგი 28 წლის ასაკში შეიწირა პოლიტიკურმა უამინდობამ – სამშობლოს სიყვარულით გამსჭვალული გულანთებული პატრიოტი 1924 წლის თებერვალში დააპატიმრეს იმის გამო, რომ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის არსებობის დროს იყო ზუგდიდის სამაზრო კომიტეტის პასუხისმგებელი პრეპარანდისტი. დაპატიმრებისას დანიელ ფიფია თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მესამე კურსზე სწავლობდა.

დანიელ ფიფია

ბუაქ ეკინ ეშე-ეშე
გაფურუ თუღო დიხა.
სუნჩხუქ ქალამი შეაწუხ
გურიელხე ქეარაფიხა:
ზოჯე: "ოკო ქობიძენი
ჩქინი ჭაქვინჯური ჯიხა –
თექიანი მოსვანჯინი
მიჩქე ვარე გვალო ხიხა".
გურიელხე თქუანდუნი
იყუკონი ოკო თიქე.
მი იყიდგ მოვარიე
შხვა გუბედას ვარა მიქე;
მუჭო ართი კოჩინ თეში
დეჯერ ართო ჯალაბიქე;
ეკილეგ დო მისვანჯეს,
იყუ ბირა ლააფიქე.

მისთი შარა მერჩამუნი
ზუგდიდში ბუაიოლც,
ჯვეში სოფელი ჭაქვინჯირე
ხვალე ჟირი სათიშ ოლც.
ვითი ვერსით ვაილნა
ქალადირთი დიკონცხე
ქობიძეკ ოძირაფუ
ვაუჯწრქ თქვანო თოლცე:
მუკი-მუკი სუკეფი რე
მოთინილი ფალო ტიკილი
ბაბუშობაშ ცურუეფით
გობონდლილი, გოფინილი;
ცაში წვანდი უნჯუნ ფერი –
არძო შუხ დო არძო რჩინგ,
სუკიში წვანცე ფუთქურამი
ცხიმურეფი მუკორშინგ.
ჟირ საყენიშ მავიაშე
ემერ წყურგილ მოსოფუნც,
გვართა-გვართა მუკომხორცე,
ქუაში კიდან მიკოფუნცქე,
უკულ ტიკილცე უზოგარო
გიანთხუ დო გვარგვალანც,
ჯუნუნც ყოროფილიშორო,
ბონუნცე დო ხვარჩალანცე;
თუღო ქვიშა ვარჩხილიში
ეთმოცენგ, ვარკალანცდ;
ბუაქ ჩხორიას გემშუტყობუ
შქას მიშაბარჩხალანცე.
გიჯინქე იშო-აშო
დუგარძელ შური, გური.
ხეშქაგურიშორო მოჩქე
ჯვეშ ოხვამე წენდისური;
ჭითა გვალა, თუღო სქური,
ნაოხვამუ ობუჯური,
ჯვეშ ბორჯიში მოჭიშვი
ამდლა არძო უმინჯური.

ბულათია

მზემ თანდათან აიწია,
აადინა მიწას ბური,
სიცხემ მეტად შეაწუხა
გურიელხე ტანად სრული.
ბრძანა: "მინდა ვინახულო
ჩემი ჯიხა ჭაქვინჯური.
არის მეტად საამური
იქაური დასვენება".
გურიელხე რომ იტყოდა,
ისურვებდა ოდნავ: ნეტა,
აბა, ვილა იქნებოდა
უარი რომ შეებოდა.
ახლაც ერთხმად დაეთანხმა
ერთიანად, მთლად ჯალაბი, მერე
გორზე აბანაკდენ
სიმღერითა და თამაშით.

თუ სავალი გქონებიათ
ზუგდიდიდან აღმოსავლეთ
ბირძველ სოფელ ჭაქვინჯეს ნახეთ
ორი საათის გზას თუ გაღვეთ.
ათი ვერსიც არ იქნება
თავდადმართი მოჩანს ცერად
ასეთია სანახები
თვალეებისა აღარ გჯერა.
ირგვლიე ყველგან გორებია
პიტალო კლდედ აშევილი,
მითაჟამის სუროებით
შესუღრული, შეფენილი.
ცას კენწერო რომ უწვდება,
ყველა ჯმუხი, ტანი მთელი.
გორის თავზე შეხავსული,
რცხილნარია ძველის ძველი.
საყენობით სიმადლიდან
წყაროები გადმოშხვის,
ტალღა-ტალღად მოხეთქილი
პიტალო კლდეს რომ ასკდება.
ენარცხება ქვის ტავაზე,
დუღდება და თუხთუხდება
სატრფოსავით გარს ეხვევა
თითქო ბანს და იკონცება.
ქვეშ ირევა ვერცხლის ქვიშა
დგას ფერების კამკამი,
მზის სხივები შიგ შეჭრილან
მომხიბლველი ბარჩხალით.
გახედავ და გაგახარებს
არე ატეობებს შესაფერი,
ხელისგულზე გამორჩდება
წაღენჯიხის მონასტერი,
წითელი მთა, ქვემოთ სქური,
ობუჯელთა ნასაყდრალი,
ძველი დროის კარგი მოწმე,
დღეს სუყველა შესაბრალი.

მ ა ფ ა ლ უ

ამონარიდი სოციალ-ფედერალისტების პარტიის მთავარი კომიტეტის ორგანოში, გაზეთ "სახალხო საქმეში" დაბეჭდილი კოტე კობახიძის 1919 წლის 3 ივნისის წერილიდან – "მეუნარეიას დასაფლავება".

"ჩამოვიდნენ... მათ შორის მეგრულ ავტონომისტთა ჯგუფის "მაფალუს" წარმომადგენელი. ყველას წარმომადგენელმა წარმოსთქვა სიტყვა... რომლებმაც ზოგადეროვნული პოზიციებიდან შეაფასეს იმეუნარეიას როგორც "საქართველოს მოღვაწე". მაგრამ, მეორე მხრივ სამეგრელოს ავტონომისტთა ჯგუფის "მაფალუს" წარმომადგენელი სტუდ. კან-ვა (კანკავა მიხეილი – გ.ც.) რაღაც ახალ პანგზე აუღერდა და იმით-მომი სიტყვა განმარტოებულად შეიძლება ჩაითვალოს... გარდაიცვალა სამეგრელოს საუკეთესო შვილი იონა მეუნარეია, რომელმაც ყველა ევროპელ მეცნიერ-მკვლევართ და პოლიტიკურ მოღვაწეთ, ვინც კი კავკასიაში ჩამოდიოდა, ან კავკასიის ცხოვრებით დაინტერესებულ იყო... გააცნო სამეგრელოს წარსული და აწყო ვითარება და საქმით ცდილობდა მეგრული ხალხისათვის წარმატება მოეპოვებინა. ნიკოლოზ მეორის ბორკილების დამსხვრევის შემდეგ ქართველებთან (ანუ "ქართველებთან" ერთად – გ.ც.) ჩვენც მოველოდით შეებას და როცა ეს არ მართდებოდა, სწორედ ესლა სამეგრელოსათვის ფასდაუდებელი იყო იმეუნარეიას სიცოცხლე... მკითხველი ალბათ მიხვდება, თუ რა სურს "მაფალუს", მისი მიზანის სამეგრელოს თავისუფლება მოუპოვოს. აშკარად არ ჩანს მხოლოდ ამ თავისუფლების ფორმა – დამოუკიდებლობა, თუ ავტონომია, კერძოდ ცნობებით კი "მაფალუს" ავტონომიის მოთხოვნას უნდა აპირებდეს. მიზანი მათი დეკლარაციული სიტყვისა, ჩემის აზრით, ერთადერთია – თავისუფლების ღობეზე ხალხში გადაისროლონ და შესაფერისი მუშაობა ამიერიდან ახლად აწარმოონ. უნებლიედ მაგონდება ეგნატე ნინოშვილის დასაფლავება, რომლის დროსაც სოციალ-დემოკრატიულმა პარტიამ ორგანიზაციულად ხორცი შეისხა. ესლაც ანალოგიურ მოვლენასთან გვაქვს საქმე, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ ეგნატე ნინოშვილი სოციალ-დემოკრატიული პარტიის მოძღვრებას იხიარებდა, იმეუნარეის კი არამც თუ იხიარებდა "მაფალუს"-ს ჯგუფის მისწრაფებას, ვფიქრობ, არც კი იცოდა ამ ჯგუფის არსებობა... უადვილოა ამ წერილში "მაფალუს" მისწრაფებათა კრიტიკული განხილვა, რადგან მათი მიზანი და სამოქმედო გეგმა მთლიანად არა მაქვს გაცნობილი, ვიტყვი მხოლოდ, 3500 წლის განმავლობაში ქართველი ერის მოღვათ, მათ შორის მეგრელებსაც, ბევრჯერ უგემნათ სიტკბოება და სიმწარე ურთიერთშორის თანხმობისა და შუღლისა და ვიმედოვნებ იგი შესძლებს წარსულის გათვალისწინებით მომავალში აიცილიოს სიძულვილის მორიგი მახე რომელიც ქართველი ერის სხვადასხვა ტომთა შორის მტრობის ჩამოგდებაში გამოიხატება. ამ აზრის ჭეშმარიტება იმეუნარეიას მტკიცედ სწამდა".

ბრივად თავისი და თანამოაზრეთა პარტიულ-პოლიტიკური და პატრიოტული პოზიცია გამოავლინა, და არა ის, რომ "მაფალუს" და მისი მეგობრების სეპარატიზმის შესახებ სიმართლე ასახა.

2. ამონარიდები შეურაცხყოფილი სტეფანე გაგუას პირადი, ფრაგმენტული ჩანაწერებიდან, რომელიც ფოთში მიგვლინების დროს მისი მემკვიდრეების მიერ შემონახულ ხელნაწერებში მოვიხილეთ:

"მაფალუს არის ჯგუფი, რომელიც ცდილობს ზეპირ გადმოცემათა ლეგენდებით და სხვაგვარ საღაროდ პოეზიის შევსებას მეცნიერებისათვის და ეს ცილისწამება, რომელიც მიაწერეს ამ ჯგუფს სრულიად უსაფუძვლოდ სინამდვილის გადაჭარბებით გაუგიათ.

რომ შეავსოს და შეასწოროს ქართული სიტყვა სასიამოვნო საშენ... (აღარ იკითხება – გ.ც.).

"განა მე ჩემს ქვეყანას არ ვემსახურებოდი... მე მიყვარს ჩემი ხალხი და ღვიძლი..."

დე ჩემმა ნამოწაფრებმა ჩემი სიკვდილის შემდეგ სთქვან თურა პროლოკაციებით ვარ და გამცემათ სირცხვილი ჭკვიანებს. მე ჩემი სამსახურით და აგრეთვე... უსამართლო აღამიანურ... ზუგდიდელებს ჰკითხონ თუ რა გამიკეთებია ასეთ დროს, როცა მასეთებია... ქართველთა ენა იყო დევნილი. არაფერი არ მინდა. გული მტკიავ... მაგრამ ჯერ კიდევ რატომ ვარ და ვთქვა სანამ ეს შეუფერებელი სახელი შემარქვითი იგი არ გამართლდება იგი. ყველა ნახვამდის, იყავით ბედნიერი ცოლშვილთან მივიწყებული ათვალისწინებული..."

"პატივცემულ სპირიტონ კეილიას

საქართველოს გაზეთ "ერთობაში" ცოცხლად წერის... ჩემი მდგომარეობა პირდაპირ აუტანელია. პასუხი გავეზუზავნე არ დაბეჭდა და თან სასაცილოდ ამიგლო. სიმართლეს ვმსახურება, რაღა? ვის ექმნება. ამას ქვია მიუდგომელი პრესა? ჩემს პასუხს შემოიტანს თქვენთან სტუდენტი კანკავა და ამიტომ სიმართლის აღსადგენად დამიბეჭდავთ.

...ეგებ გული არ გამისკდეს... ვიგემე და მართლა დაერწმუნდით რომ სინდისის დემრთი ჯერ არ დაბადებულა.

ყველაფერი მოჩვენებაა და გაშვებული სიტყვების ბრივინი. ამას მომყვება "ვიკივიანიე იზ გიმნაზი". ზოგიერთს გაუმართლებს. ბარემ ესეც შემისრულდეს.

საჯგირო უჯგუშიშე გიმერჩინდუდას (მჯობნის მჯობნი არ დაილიოს – გ.ც.). 1919 წლის 6 ივლისი".

წყარო: სტეფანე გაგუას უბის წიგნაკის ჩანაწერები.

კომენტარები: 1. სტეფანე გაგუას უბის წიგნაკის ჩანაწერები შესრულებულია სახელდახელოდ. ფანქრით, პუნქტუაციისა და სტილის დაცვის გარეშე. აზრი ხშირად დამთავრების გარეშე წყდება. ზოგჯერ შეუძლებელი ხდება ხელნაწერის ამოკითხვა. მაგრამ რისი ამოკრეფაც შეეძლო, ვფიქრობ, რომ ღირებულების მქონეა.


2. უბის წიგნაკის ჩანაწერებიდან ჩანს, რომ მისმა პატრონმა უსამართლო ბრალდებათა თვალაპირველად იმდენად განიცადა, რომ ყველას ემშვიდობება

"მივიწყებული, ათვალისწინებული", მაგრამ ისიც ჩანს, რომ კობახიძის შეურაცხყოფელი წერილის გამოქვეყნების (3.VI.1919) შემდეგ ერთი თვის მანძილზე (6.VII.1919) ძალა მოუკრებია და ცილისწამებლებთან შებრძოლება გადაუწყვეტია. შემთხვევითი არც ის უნდა იყოს, რომ სტ.გაგუამ საპასუხო სიტყვით თავდაპირველად იმავე გაზეთს მიმართა, რომელმაც კობახიძის შეურაცხყოფელი წერილი სიმართლესავით გამოაქვეყნა. მაგრამ არამც თუ არ დაუბეჭდეს, კიდევაც დასცინეს. ამიტომ იგი იძულებული გახდა მიამართა კუთვნილი, ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ლიდერისა და ამავე პარტიის მთავარ ორგანოს რედაქტორის სპირიტონ კეილიასათვის და კი არ ეთხოვა, არამედ მოეთხოვა საპასუხო წერილის მის გაზეთში გამოქვეყნება.

3. სტეფანე გაგუას მიერ სპირიტონ კეილიას მიმართ გაგზავნილი წერილიდან კარგად ჩანს, რომ ედვოს ლიდერი და ამ პარტიის მთავარი ორგანოს რედაქტორი მისთვის საკმაოდ ახლო დამოკიდებულების მქონე პიროვნებაა და მისთვის "მაფალუს" საქმიანობის მიმდევარი არსისა და აგრეთვე მის შესახებ წინასწარ უნდა ყოფილიყო ცნობილი. სპირიტონ კეილია კი იმდროინდელ საქართველოში არა მარტო კარგად იყო ცნობილი, არამედ მას ამ დროს უკვე უადრესად ბუერი ჰქონდა გაკეთებული საქართველოს დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის თვალსაზრისით. ამასთანავე, ეროვნულ-დემოკრატიული პარტია გახლავთ ილია ჭავჭავაძის პატრიოტული იდეების ერთ-ერთი ყველაზე თანმიმდევრული მემკვიდრე. ამ სინამდვილეს სპირიტონ კეილიას ეროვნულ-პატრიოტული დეაწლია ამსახველი მრავალი პუბლიკაცია და სპეციალური მონოგრაფია აშუქებს (იხ. გ.შარაძე, სპირიტონ კეილია. წიგნში – "უცხოეთის ცის ქვეშ", წ.1, თბ. 1991, გვ.94-17; ს. ჩიჯვარაძე – კეილია, ნასმენ-ნახული, თ. 2001; ო.ჯანელიძე, ნარკვევები საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ისტორიიდან, თბ. 2002 და მრავალი სხვა). ისინი ცხადყოფენ, რომ საკვირიას ეროვნულ-პატრიოტული გარჯა ეფუძნებოდა უადრეს პრინციპულობას და ეროვნული ინტერესებისათვის შეუპოვრობას. მაშასადამე, "მაფალუს" ლიდერი სტ.გაგუა, მისთვის დაბრალებული ავტონომისტობისა და სეპარატიზმის თუნდაც ნაწილობრივი დანაშაულის შემთხვევაში საკვირიას მხარდაჭერისათვის ვერ მიმართავდა და მით უმეტეს თანადგომას მისგან ვერ მოითხოვდა.

ბიოგრაფიული
მაფალუს
(დოკუმენტები და კომენტარები)
წიგნი I
(ალტერნატივა)
„მაფალუს“ მეგრული ავტონომისტურ-სეპარატისტული რევოლუცია კი არა, არამედ სამეგრელოს მონაპოვრონი ქართული ეროვნული კულტურის გამადიდებელ მცდელობა იყო

სამეგრელო და სვანეთი



ამ წიგნის ავტორის, კორნელი ბოროზდინის სამსახურებრივი კარიერა კავკასიაში დაიწყო. იგი ჯერ მთავარმართებლის კანცელარიაში მუშაობდა, შემდეგ კი (1854 წელს) სამეგრელოს დელოფალიან მთავრის მიწვევით სწავლობდა და მისი შვილების აღზრდას. 1858 წელს დაინიშნა სენაკის ოლქის უფროსად, სადაც 1867 წლამდე იმსახურა. სწორედ აქ გაეცნო იგი სამეგრელოს მოსახლეობის ყოფას, რომელიც საინტერესოდ აღწერა თავის წიგნში. ბოროზდინის მოგონებებში საკმაოდ ვრცლად არის გადმოცემული ოსმალეთის ჯარების მიერ სამეგრელოს აწიოება, რომელიც შემდეგ რუსმა ჯარისკაცებმა აღაგმეს.

კორნელი ბოროზდინი

აკოფოვმა იცოდა, როგორ შესწავლობდა გუბერნატორებს ყველას და, როგორც შეძლებული კაცი, ყოველთვის წინ მიუძღოდა, თუ რამ დეპუტაცია იყო მოქალაქეთაგან მისაგზავნი ვისთანმე, ყველას აცინებდა თავის რუსულის დაპარაკით და ამ რუსულის ოინბაზურ დამახინჯებით საწადელს ყოველთვის ეწეოდა, სახედლობრ მისი ნათქვამის დედააზრს სულმუდამ მიუხედავოდ დენდავან უსმენდენ ხოლმე. ერთხელ გუბერნატორი ბელაივსკი რადაზედაც გაუწერა სომეხ-კათოლიკეთ და ბრძანა მასთან გამოცხადებულყვენენ. ბელაივსკი ყვიროდა – ნებას არავის მივსცემ აქ სხვადასხვა პარტიები იყო-სო და სიტყვა “პარტია” რამდენჯერმე განიმეორა თურმე. როცა ბელაივსკის გაუთავებია, დაპარაკი დაეწყო აკოფოვს: “რა პარტიას ბრძანებთ, თქვენო აღმატებულესობა, ჩვენ ასეთი პარტიებისა არაფერი ვიცით, თქვენო აღმატებულესობა; პარტიას მხოლოდ მეოთხედ კაპიკობით ვთამაშობთ (ქალაქის თამაშობაში).

ბელაივსკის ვერ გაეგო აკოფოვის პასუხი და ქართულად ეკითხვინებინა, – რის თქმა უნდა. აღმოჩნდა, რომ აკოფოვი ვითომც ფიქრობდა, რომ გუბერნატორი სიტყვა “პარტიას”-ს რომ ასხენებდა, ჰგულისხმობდა პრეფერანსის პარტიას და ვითომც სწერებდა, სომეხ-კათოლიკენი როგორა პბედავენ პრეფერანსის თამაშობასო. გუბერნატორს, აკოფოვის კომიკურ-სერიოზულ სახეს რომ უყურებდა, ძალაუნებურად გაეცინა, დაპარაკის კილო გამოიცვალა, მოუსმინა სომეხ-კათოლიკეთ, რაც სათქმელი ჰქონდა, და გაიგო, რომ მას სომეხ-კათოლიკეთა წინააღმდეგ ამხედრებდა მექრთამე პოლიცემისტერი, და ყველანი მშვიდობით გაუშვა. ხუმრობით რეპლიკა აკოფოვისა ძალიან გააძლიერა.

როგორც შეძლებულ კაცს, როგორც საჭირო კაცი, ისე ჰქონდა სახლაკარი მოწყობილი. მისი სახლი მთელს ქუთაისში ყველა სახლსა სჯობდა; სახლს ბადიოც ჰქონდა და შიგ გამოდიოდა დიდი ვერანდა. მისი ცოლი ტფილისში იყო აღზრდილი. რუსულად საუცხოოდ დაპარაკობდა და მეტად მოსიყვარულე დიასახლისის სახელი ჰქონდა გავარდნილი. მის სახლში ხშირად იმართებოდა საღამოები და ამ საღამოებს თითქმის მთელი ქალაქი ესწრებოდა. დიდი მხიარულება იყო ხოლმე ამ საღამოებზე; ეს საღამოები მეტად გემრიელ იმე-

რულ ვახშით თავდებოდა, აუარებელი ღვინო ისმებოდა, როგორც კახური, ისე ვეროპული. მასპინძლის თავაზიანობას და მისივე შეთხზულ რუსულ ლაპარაკის თავისებურ გონება-სიმახვილეს საზღვარი არა ჰქონდა.

ერთის სიტყვით, კათოლიკეთა უბანში აკოფოვი პირველ კაცად ითვლებოდა და ამ უბნის დესპოტი, მღვდელი დონ ანტონიოც კი პატივისცემით ეპყრობოდა. ეს მღვდელიც, გვარად გლახიაშვილი, ქუთაისში იყო დაბადებული, დიდხანს ეცხოვრნა რომში, იქ თურმე სამღვდელოდ ემზადებოდა და პატრიოიზუტის ქცევა-მამართულება ზედმიწევნით შეეთვისებინა. კათოლიკეთა უბანი შიშით კანკალებდა დონ ანტონიოს წინაშე, რადგან იქაური ქალები სიტყვა-შეუბრუნებლად პყავდა დამორჩილებული, ყველას აშინებდა ჯოჯოხეთში ცოდვილთათვის გამზადებულ ყოველგვარ სატანჯველებით; ხოლო ქალების საშუალებით ანტონიო ჰბატონობდა მამაკაცებზედაც. მეტის-მეტე ასკეტი რამ იყო, მისი ტანისამოსი “სევიდიელ დალაქში” დონ ბაზილიოს მოგაგონებდათ. საკანონოს განწესების დროს პირდაპირ შეუბრალებელი იყო და თითქმის საშუალო საუკუნოების ზომის საკანონოს უწესებდა ცოდვილთ. ხშირად ნახავდით მის მიერ ზიარებისაგან განყენებულთ, რომელთაც რაღაც გასანთლული ქლამინდები ეცვათ, ხელში ანთებული სანთლები ეჭირათ და დახოქილნი ისე დაბობდავდნენ ეკლესიაში; კარგახანს ამყოფებდა ასე მომნანიებულთ, სანამ არ შეუნდობდა. და ასეთი სასტიკი მოძღვარი ისე იყო აკოფოვის მიერ მორბილებული, რომ ნებას აძლევდა, თავისთანაც კი პრეფერანსი ეთამაშნა ცოტაზე.

კოლუბიკინს აკოფოვი ტფილისში ჯერ მაშინ იცნობდა, როცა კოლუბიკინი ჯერ კიდევ დაბალის ხარისხის მოხელე იყო; მერე ვიცე-გუბერნატორობა მიიღო ქუთაისში, და როცა გუბერნატორად დანიშნეს, ორნივე ერთმანეთს დაუახლოვდნენ როგორც ძველი, კარგი ნაცნობები. რაკი იცოდა კოლუბიკინმა, მართლბა რამდენათ კი კაცი იყო აკოფოვი, თავისის სასტუმროს მუდმივ წევრად გახადა, სრულს თავისუფლებას აძლევდა მის უეშმაკო ოხუნჯობას, ხოლო საღამოობით იმართებოდა საყვარელი პრეფერანსი.

და აი ასეთს პრეფერანსს გარშემო უსხდნენ ჩვეულებრივი მოთამაშენი, ამ თავის დასაწყისში რო მოვიხსენიეთ.

აკოფოვი უბრალოდ თხილის გულს ჩამოვიდა და ვისტიანები უსამოდ დასტოვა. ასტყდა საშინელი ხარხარი. ამ დროს უცბად გუბერნატორის სახლის ეზოში გაისმა საფოსტო ზარის წკარუნი, და საფოსტო ურემი მძიმედ მიგორდა აივანთან. რაკი ზარი აკრული არ იყო, ადამიანს უნდა ეფიქრნა, რომ მომსვლელს ძალიან ეჩქარებოდა. პირველად ის ვიფიქრეთ – ტფილისიდან ხომ არ არის შიკრიკი, მეფის ნაცვლის მიერ გამოგზავნილი? მაგრამ გაიარა ერთ-მა წუთმა და ყველას გაგვიკვირდა, როცა კაბინეტში შემოვიდა გრძელ აჩქილ თმიანი, თეთრ ჩოხიანი, მტვრით დაფარული და ტალახის შხეფებით მოსვრილი კაცი, რომლის ცნობა ერთ-ბაშად გაგვიჭირდა. ეს იყო მეგრელი თავადიშვილი ნიკოლოზ ალექსანდრეს ძე მიქაძე. მოსულმა კოლუბიკინს გადასცა წერილი და დასძინა: “ეკატერინესაგან გახლავართ”.

ახსნა არ გვეკიროდა, ვიცოდით, რომ “ეკატერინე” იყო – სამეგრელოს დედოფალი, უბრწყინვალესის დავით დიანის მეუღლე.

წერილი მოკლე იყო. კოლუბიკინმა ხელათ გადააკრა თვალი, დაავლო მაგიდაზე და გვითხრა: წაიკითხეთო. თვითონ სკამიდან წამოდგა, ეტყობოდა, შემკრთალი იყო. მივიდა მიქაძესთან და დაუწყო განიკითხვა.

წერილის შინაარსი, დაახლოებით ასეთი იყო:

“სამეგრელო მთლად აჯანყებულია, – იწერებოდა დედოფალი, – მე სრულებით არ შემიძლია თავი გავართვა. გლეხები სულ მთლად თავს გავიდნენ; შეიარაღებული ბრბოები სრულებით არ გვემორჩილებიან. თუ ღმერთი გწამსთ, თქვენ თვითონ მომეშველენით. ნიკოლოზ პეტრეს ძე, და თან წამოასხით, სულ უკანასკნელი, 500 ყაზახ-რუსი მინც; მაშინ-და შემძლევა აჯანყება ჩავაქრო. ერთი წუთიც არ დაახანოთ. მე ქვაშორში ვიმყოფები და ყველა მხრიდან აჯანყებულ გლეხები მარტყია. მიფარავენ ჩემი ერთგული თავადები.

ეკატერინე

მიქაძე დაღლილობისაგან ძლივას დაპარაკობდა. ოცდაათიოდ ვერსის მანძილი ცხენის ჭენებით გამოუვლია (სამეგრელოში მაშინ ჯერ კიდევ არ იყო საფოსტო სადგურები, რომლებიც ომერფაშას შემოსევის დროს დაანგრეს ოსმალებმა) და ქუთაისის გუბერნიაში რომ შემოსულა, საფოსტო სადგურზე საფოსტო ურემში ჩამჯდარიყო და ცხენებს დაუზოგავად მოერეკებოდა თურმე.

არ შეეძლო დალაგებით, გაბმით ეთქვა რამე, ნაწვევებ-ნაწვევებად დაპარაკობდა... ისღა გავიგეთ, რომ აჯანყება ამ ექვსის თვის წინად დაწყებულა. დედოფალი ამ დროს პეტრეპეტრეში იყო წასული იმპერატორ ალექსანდრე ნიკოლოზის ძის კურთხევაზე დასასწრებლად. იქიდან დაბრუნდა მისში და ყოვლის დონისძიებით შეეცადა სამეგრელოში მშვიდობა დაემყარებინა, მაგრამ ყოველმა ცდამალოთ ჩაუარა და აჯანყება საშინლათ მოედო იქაურობას. მემამულენი გლეხების ბრბოებს ემალებოდნენ, რადგან გლეხები სავა მთასწრებდნენ, შეუბრალებლად ექცეოდნენ; თვითონ დედოფალს საშიშროება მოელოდა და თავი შეეფარებინა თავის ნათესავთან მენიკი დადიანის ქალთან, ქვიშიხორში, და მასთან იმყოფებოდნენ გრიგოლი და კონსტანტინე დადიანები, მის მიცვალებულ ქმრის, სამეგრელოს მთავრის, დავითის ძმები.

უღმერთობა იქნებოდა ჩვენის მხრივ, დიდხანს გაგვეჩერებინა დაღლილ-დაქნეული და დამშუკული მიქაძე და ამავე გამოგვეკითხნა, ამიტომ, კოლუბიკინმა უბრძანა სასადილოში ვახშამი მოეტანათ და მიქაძეც იქით წაყვანინა, თვითონ კი ქალაქის სათამაშო მაგიდას მიუჯდა და მოგეპართა ამ კითხვით:

– აბა, ბატონებო, როგორა პვიქრობთ, მე რა უნდა ვქნა? თქვენ აზრი მინდა გავიგო და, აკოფოვი, შენგან ვიწვევ.

– ჩემი აზრი ის გახლავსთ, – დაიწყო აკოფოვი, – რომ, ნიკოლოზ პეტრეს ძე, შენი საქმე არ არის ამ საქმეში ჩარევა.

– როგორ თუ ჩემი საქმე არ არის? მაშ ეს წერილი?

– რა წერილი, რის წერილი! შენ ქუთაისის გუბერნატორი ხარ, წერილი რას მიქვია!

– როგორ არ გესმის, ყაზახ-რუსებსა მთხოვს აჯანყებულთა წინააღმდეგ!

– მერე სად არის აჯანყება? – სამეგრელოში. შენი რა საქმეა?! აიღოს და გაგარინს მისწეროს.

თავადი გაგარინი ამ დროს ქუთაისის გენერალ-გუბერნატორი იყო და დროებით სოხუმში იმყოფებოდა. ეი. სამეგრელოდან ოთხჯერ უფრო შორს, ვიდრე ქუთაისი.

– შენ შეგეძლო ასეთი რჩევა მიგეცა მისთვის, იმასთან ქვაშორში რომ ყოფილიყავა და კარგავ იზამდი, მაგრამ რაკი შენთვის რჩევა არ უკითხავს, ისე ჩემთან გამოგზავნა კაცი, აბა როგორ შემიძლია არ გავერიო საქმეში?

– ნიკოლოზ პეტრეს ძე, დედოფალი შენა გწერს და შენც, ნიკოლოზ პეტრეს ძე, შეუთვალე – გაგარინს მისწერეთქო.

– შენ, ჩემო კარგო, მიქაძე, წარმოიდგინე, შენის მეზობლის სახლს ცეცხლი წაეკიდა და შეველა გთხოვა. განა შეგიძლია უარის თქმა?

– ნიკოლოზ პეტრეს ძე, სხვის საქმეში ნუ ერევი, შენ ქუთაისის გუბერნატორი ხარ. რის სახლი, რის ცეცხლი, – მე ჩემი სახლი ვიცი და ყურს ვუვადებ, ცეცხლი არ წაეკიდოს... მეზობელი კი რაში მედარდება, თუ ღმერთი გწამს; თუ მისს სახლს ცეცხლი უკიდია, ვცდილობ, ჩემსას არა ეწვოს რა.

– ადამიანო, გაიგე, ქალა, შეველას რომ მთხოვს, თავტანი აქვს დაკარგული, უმწყოთაა დარჩენილი.

– შენც აიღე და გაგარინს მისწერე, ეკატერინეს წერილიც მასვე გაუგზავნე, ქალმა თავტანი დაკარგა-თქო... ისე მისწერე. შენ კი ნუღარ წახვალ, დიდ უსიამოვნობას გადაეკიდებო... რაც შენი საქმე არ არის, იმაში რაღათ ერევი, თუ ღმერთი გწამს... შენ ქუთაისის...

მაგრამ კოლუბიკინმა სიტყვა არ დაამთავრებინა.

– გეყოფა, გეყოფა, – ვხედავ, რომ ჯორზე შეჯვრე და იქიდან კაცი ვერ ჩამოგიყვანს... გმადლობ... თქვენა, ბატონებო, თქვენ რაღას იტყვი? – მოგიბრუნდა თავად ერისთავს და მე.

ჩვენი აზრი ის იყო, რომ გადაუდებლივ მივშველებოდი დედოფალს, რომ თვითონ ნიკოლოზ პეტრეს ძე კოლუბიკინი წასულიყო მასთან, და, რა თქმა უნდა, ეს ამავე იფრინდას საშუალებით გაგარინისა და მეფისნაცვლისათვის ეცნობებინა.

კოლუბიკინიც ამასვე აპირებდა. ჩვენ გული-გულში ვეთანხმებოდით კოლუბიკინს, თუმცა არც იმას უარყოფდით, რომ აკოფოვის სიტყვებში პრაქტიკული მოსაზრება იყო, და, როგორც შემდგომში გამოირკვა, მისი მოსაზრება წინდახედულებასაც არ ყოფილა მოკლეული.

ამგვარად, გადაწყვეტილი იყო წასვლა. მაშინათვე კაცი გაუგზავნეთ ვიცე-გუბერნატორს ივ. მიურჩენკოს და ყაზახთა ლეგიონის კომანდირს ბოლდირევს. ერთ საათში წასასვლელად საჭირო ბრძანება დასრულებული იყო, კოლუბიკინმა გაიყოლია თავადი ერისთავი და მიქაძე, რომელიც ძლივას გადავიძეს (ვახშამს შემდეგ დაღლილობისაგან მოცვლილივით დაეცა და მეკდრის ძილით ჩაეძინა), და რამდენიმე ასეულ ყაზახრუსის თანხლებით გაექანა სამეგრელოში.

გუბერნატორის სახლის შესავალი-თან, ჩემი გამოთხოვების დროს, აკოფოვიმა ჯიბიდან სათუთუნე ამოიღო, გაგრძელება. მე-10 გვ.

საგარეო და საინჟინერო

ცხვირი ბურნუთით გაიტენა და მიიხრა:

“ტყუილად ერევა... მისი საქმე არ არის, ნახავ, თუ არა. ეს ქუთაისის გუბერნატორია?” და ერთმანეთს გაეშორდით კიდეც.

მაგრამ სანამ კოლეგიაკინს მიეყვებოდეთ, მოდით, მკითხველთ გააცნოთ ის გარემოება, რომელიც წინ უძღოდა სამეგრელოს აჯანყებას, და აგრეთვე დედოფლისა და კოლეგიაკინის პიროვნება, და მაშინ ამ მკითხველთათვის გასაგები იქნება მთავრობის შემდგომი მოქმედებანი, ამ ამბით გამოწვეული.

თავად ალექსანდრე გარსევანის ძე ჭავჭავაძის მეორე ქალი, ეკატერინე ალექსანდრეს ასული დადიანისა, სწორედ ისეთსავე პირობებში იყო აღზრდილი, როგორშიც იზრდებოდნენ მაშინ საზოგადოთ ყველა მდიდარი და სახელგანთი ოჯახები რუსთავადაზნაურობისა. მუსიკა, სიმღერა, ხატვა, ფრანგული ენა და ცეკვა შეადგენდა მაშინდელი მაღალი საზოგადოების გასათხოვარ ქალის ცოდნისა და ტალანტის ენციკლოპედიას, ხოლო გარეგნობა მისს განათლებას, ცოთათ თუ ბევრათ, ფასსა მატებდა და იერს აძლევდა. მისი უფროსი დაი უკვე რამდენიმე წელიწადი იყო, რაც ქვრივად დარჩა ჩვენს სახელოვანს გრიბოედოვს, და ახლა თავის მოხუცებულ დედის მაგივრობა გაუწია თავისს დას და საზოგადოებაში გამოჰყავდა. ორივე კალმით დახატულნი ღამაზები იყვნენ და თავბრუსსა მხევედნენ ტფილისის მაშინდელ ახალგაზრდობას; ეს ახალგაზრდობა უმეტესად შედგებოდა ჭაბუკებისაგან, რომელნიც პეტერბურგიდან კაკასიაში მოსწრაფოდნენ კარიერის გასაკეთებლად და რომლებიც ატარებდნენ დიდ არისტოკრატიულ გვარებს. თვით გრიბოედოვი, როგორც უკვე ვთქვით, თავის მეუღლეს “მადონას” ეძახდა იმ არამქვეყნიური სახიერებისა და სიმშვიდის გამო, ნინო ალექსანდრეს ასულის საუცხოო თვალებში რომ გამოიხატებოდა. მის გვერდით იყო სულ მოწინააღმდეგე მშენებნიერება – მისი დაი, რომელშიაც განხორციელებული იყო მხიარულება, სიფიცხლე, გონების სიმახვილე და თან თვალები ენთებოდა ცეცხლით და მათს მაყურებელს გულში იმედი გასახებოდა, რომ ეს ქალი მომავალში მთლიან ხასიათის პატრონად გადაიქცეოდა. როცა იმ თავგანისმცემელთა შორის, რომელნიც გარსევანს ეხივნენ ეკატერინე ალექსანდრეს ასულს, წინ წამოდგა ისეთი საქმრო, როგორიც იყო დავით დადიანი, სხვები ყველანი უკან დადგნენ. მშობლები ერთ წუთსაც არ შეეყოყმანებულან თავისი ქალი მიეცათ დავითისათვის, და იმანაც მალე სამუდამოთ წაიყვანა სამეგრელოში.

გაგრძელება იქნება

სააგენტო "ვესტი": ბარაკ ობამამ მიიღო იმის 19 ინსტრუქცია, თუ როგორ უნდა ელაპარაკოს რუსეთს

ვაშინგტონი. ამერიკის შეერთებულმა შტატებმა უნდა დაიწყოთ სერიოზული დიპლომატიური რუსეთთან შეიარაღებაზე კონტროლის დაწესების თაობაზე და ხელმძღვანელთა გააანალიზოს ევროპაში რაკეტსაწინააღმდეგო სისტემის შექმნის გეგმები. ამგვარი რეკომენდაციები ამერიკის პრეზიდენტ ბარაკ ობამას ადმინისტრაციასა და ამერიკის კონგრესს გაუგზავნეს კომისიის წევრებმა, რომლებიც შეისწავლიან რუსეთის მიმართ ამერიკის მიერ გასატარებელ პოლიტიკას. საერთო ჯამში კომისიამ განსახილველად წარმოადგინა 19 რეკომენდაცია. ექსპერტთა აზრით, რუსეთსა და ამერიკის შეერთებულ შტატებს შორის თანამშრომლობის მნიშვნელოვანი მიმართულება უნდა იყოს საერთო პოლიტიკა ირანისა და მასობრივი განადგურების იარაღის გაუვრცელებლობის სფეროს მიმართ.

ამ ორი ქვეყნის უპირველეს ამოცანად აღნიშნული დოკუმენტის შემქმნელები მიიჩნევენ ტერორიზმთან ერთობლივ ბრძოლას და ავღანეთსა და ახლო აღმოსავლეთში მდგომარეობის სტაბილიზაციას. ექსპერტები ხაზგასმით აღნიშნავენ, რომ ევრაზიასა და ევროპას უსაფრთხოების საერთო წესების შემუშავებისას არ შეიძლება მხედველობაში არ იქნას მიღებული რუსეთის აზრი. დოკუმენტში ხაზგასმითაა მითითებული, რომ უკრაინა და საქართველო მზად არ არიან ნატოში შესასვლელად. ექსპერტები რჩევენ იძლევიან, რომ უნდა მოიქებნოს ამ ქვეყნებთან პარტნიორულ ურთიერთობათა განვითარების სხვა შესაძლებლობები.

30-გვერდიანი მოხსენება შედგენილ იქნა უსაფრთხოების საკითხებში წამყვანი პოლიტოლოგების, პოლიტიკოსებისა და ექსპერტებისა და რუსეთის მიმართ პოლიტიკის შემუშავების ორპარტიული კომისიის წევრების მოსკოვში ვიზიტის შედეგებზე დაფუძნებით.

დელეგაციას ხელმძღვანელობდნენ ყოფილი სენატორები გერი პარტი და ჩაკ ჰეიგელი. მათ გარდა მოსკოვში ჩაფრინდნენ პრეზიდენტის ექს-მრჩვეელი ეროვნული უსაფრთხოების საკითხებში ბრენტ სკოუროვიტი, სახელმწიფო მდივნის ყოფილი მოადგილე რიჩარდ ბერტი და სხვა წარმომადგენლობითი ფიგურები. ისინი მაღალ დონეზე მიიღეს – ვიზიტის კულმინაცია გახლდათ სტუმართა შეხვედრა დიმიტრი მედვედევთან, რომელსაც ესწრებოდა რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრი სერგეი ლავროვი.

მოსხენების ავტორები ამოსავალ წერტილად მიიჩნევენ იმას, რომ რუსეთი "მტრულად არ არის განწყობილი ამერიკის მიმართ, ყოველი შემთხვევისათვის – მიმდინარე ეტაპზე". იგი საერთოდ არ მისწრაფვის ვაშინგტონთან კონფრონტაციისაკენ. და კიდევაც რომ მისწრაფოდეს, ამჟამად, – მსოფლიო ეკონომიკური კრიზისის გამო, – მას არ გააჩნია "ახალი ცივი ომის" გასაჩაღებელი რესურსი.

დოკუმენტების შემქმნელებს გვერდი არ აუვლიათ პოლონეთსა და ჩეხოსლოვაკიაში ანტისარაკეტო სისტემების განლაგების საკითხისათვის. მოსხენების ავტორთა აზრით ამ პრობლემასაც ახლებურად უნდა შეეხებოდნენ. კერძოდ, მოსკოვი უნდა ჩაერთოს ანტისარაკეტო ფარის მშენებლობის პროცესებში. ამის ოპტიმალური ვარიანტი გახლავთ "გაერთიანებული სისტემის შექმნა, რომელშიც ჩართული იქნებიან რუსეთის ობიექტები და მოწყობილობები".

გარდა ამისა, ამერიკის პრეზიდენტს რეკომენდაცია მიეცა "კატეგორიულად მოსთხოვოს კონგრესს შეცვალოს ჯექსონ-ვიჩის ჩასწორება" – რადგან იგი არის "ცივი ომის უახრო გადმონაშთი" (აღნიშნული ჩასწორება 1974 წელს იქნა მიღებული კონგრესმენების ჰენრი ჯექსონისა და ჩარლზ



ვენის ინიციატივით, რაც ითვალისწინებდა ამერიკასთან ვაჭრობის შეზღუდვებს სოციალისტური ბანაკის იმ ქვეყნებისათვის, რომლებიც მწინააღმდეგობდნენ ებრაელებისა და სხვა საკუთარი მოქალაქეების ემიგრაციას – რედაქციის განმარტება).

19 რჩევას შორის არის იმის მოწოდებაც, რომ მხარი დაეჭიროს ევროპელთა მონღოლურ ბუნებრივი აირის მიწოდების დივერსიფიცირებაზე, რათა ისინი, ამ მხრივ, ნაკლებად იყვნენ დამოკიდებული რუსეთზე. მთლიანობაში კი, მოსხენების შემდგენელთა განწყობა, პოზიტიური და კონსტრუქციულია. მოსხენების ტექსტის ავტორებს მიანიათ, რომ მასში წამოწეული იდეების რეალიზაცია, კომპიუტერების პროგრამისტთა ენით რომ ვთქვათ, საშუალებას იძლევა მოხდეს რუსეთ-ამერიკის ურთიერთობათა "გადატვირთვა", რომლისკენაც ასე ისწრაფვის ამერიკის ახალი სახელმწიფო მდივანი პილარი კლინტონი.

ქართულ პრობლემატთან პირისპირ

ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციამ საგზაო სამუშაოებში სამართლებრივი დარღვევები აღმოაჩინა

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციამ თბილისში, სასტუმრო „ამბასადორში“ თბილისი-სენაკი-ლესელიძის საავტომობილო მაგისტრალის ნატანტარიალთან მონაკვეთის რეკონსტრუქციის მონიტორინგის შედეგების პრეზენტაცია გამართა.

როგორც ასოციაციის ხელმძღვანელმა თამარ ხიდაშელმა განაცხადა, დღეისათვის საქართველოში ინფრასტრუქტურის განვითარება, განსაკუთრებით კი, საავტომობილო გზების მშენებლობა და რეკონსტრუქცია აქტუალური თემაა. ამ პროექტებს ყოველწლიურად საბიუჯეტო ხაზსრებიდან თუ საერთაშორისო დახმარებებიდან ასეულობით მილიონი ხმარდება.

ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია ფონდი „ღია საზოგადოება-საქართველოს“ ფინანსური მხარდაჭერით ასორციელებს პროექტს „საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარებაზე გამოყოფილი საბიუჯეტო თანხების მონიტორინგი“. სწორედ მის ფარგლებში განხორციელდა ნატანტარიალთან 16-კილომეტრიანი მონაკვეთის მშენებლობის სამართლებრივი და ფინანსური მონიტორინგი. როგორც პროექტის კოორდინატორმა თამარ ჩუგოშვილმა

განაცხადა, აღნიშნული მონაკვეთის მშენებლობასა და განათებას სახელმწიფო ბიუჯეტიდან 80 მილიონი ლარი მოხმარდა.

ასოციაციის მონიტორინგის შედეგად ამ თანხის განკარგვის პროცესში არა ერთი კანონდარღვევა გამოვლინდა. კერძოდ, მრავალჯერ დაირღვა სახელმწიფო შესყიდვების შესახებ კანონმდებლობის მოთხოვნები. ამ კანონის თანახმად, ტენდერის შესახებ განცხადება ადგილობრივი მედიის გარდა უცხო ქვეყნის მედიითაც უნდა გამოქვეყნებულიყო, რომელიც საერთაშორისო მასშტაბით ფართოდ ვრცელდება. თუმცა განცხადება მხოლოდ ორ ადგილობრივ გაზეთში – „24 საათსა“ და „მეცნიერში“ გამოქვეყნდა.

ამასთან, გამოვლინდა ტენდერის მონაწილეთა მიმართ არათანაბარი მიდგომა. კერძოდ, ერთ-ერთი პრედენდენტი შპს „დ და გ ტექნოლოჯი“ ტენდერის მეორე ეტაპზე შეფასების სტადიაზე ტენდერს სრულიად დაუსაბუთებლად გამოეთიშა. ამასთან, არ არსებობდა აღნიშნული კომპანიის ტენდერიდან გამოსთვის სამართლებრივი საფუძველი.

ამასთან, ტენდერში გამარჯვებულად გამოცხადდა არა ის სატენდერო შეთავაზება, რომელსაც სატენდერო კომისიის წევრთა უმრავლესობამ მისცა ხმა, არამედ ინდივიდუალური შეფასებების მიხედვით ერთ-ერთ ბოლო ადგილზე მყოფი

შპს „სიმოს“ ალტერნატიული წინადადება, რაც გულისხმობდა ასფალტის საფარის ნაცვლად ცემენტბეტონის საფარის მთელ საგზაო მონაკვეთზე დაგებას. განა სეიდება ეჭვის შეტანა იმაში, რომ ამ შპს-ს ზურგს რომელიმე მაღალჩინოსანი უმაგრებს.

ასოციაციამ მონიტორინგისას სხვა დარღვევებიც გამოავლინა. საავტომობილო გზების დეპარტამენტის თავმჯდომარის მოადგილე ირაკლი ლითანიშვილი, რომელიც პრეზენტაციას ესწრებოდა, ასოციაციის შენიშვნებს არ დაეთანხმა. როგორც მან ჟურნალისტებს განუცხადა, უკეთესი იქნებოდა, თუკი აღნიშნული ორგანიზაციის წარმომადგენლები ამ საკითხს კვალიფიციურად შეისწავლიდნენ და საგზაო დეპარტამენტთან ითანამშრომლებდნენ.

რას იზამ, კრიტიკა, თუნდაც სამართლიანი და დამსახურებული, ბევრს არ სიამოვნებს და ყველაფერზე მიდის, რათა მუნდირის ღირსება დაიცვას.

მაგრამ, როგორც ამბობენ, ფაქტი ჯიუტია და ცარიელი სიტყვებით ამა თუ იმ საქმეში საკუთარი ბრალეულობის გაქარწყლება პრაქტიკულად შეუძლებელია.

ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, კი უახლოეს მომავალში, ქართულ მედიას სხვა საგზაო მონაკვეთების სამშენებლო-სარეაბილიტაციო სამუშაოების (რა თქმა უნდა – უხარისხოდ ჩატარებული) მონიტორინგის შედეგებსაც გააცნობს.

რეგიონებში პოლიციამ მძღოლებს 9 აპრილს მუშაობა აუკრძალა

პოლიციის თანამშრომლებმა რეგიონებში მიკროავტობუსებისა და ავტობუსების მძღოლებს 9 აპრილს მუშაობა აუკრძალეს, – იუწყება კახეთის საინფორმაციო ცენტრი.

მძღოლების თქმით, სამართალდამცავებმა ისინი გააფრთხილეს, რომ 9 აპრილს თბილისში დაგეგმილ აქციაზე რეგიონებიდან მოქალაქეები არ ჩამოიყვანონ, მომსახურებისათვის რა ოდენობის თანხაც უნდა შესთავაზონ. მათივე თქმით, პოლიციის თანამშრომლებმა ისიც უთხრეს, რომ, იმ შემთხვევაში, თუ აღნიშნული მოთხოვნას არ დაემორჩილებიან, სპატირული პოლიციისათვის და სხვა სამსახურებთან სერიოზული პრობლემები შეექმნება.

„მძღოლებისთვის 9 აპრილის აქციაზე რაიონებიდან ხალხის ჩაყ-

ვანის აკრძალვასთან დაკავშირებით შს სამინისტროდან კომენტარი ვერ მოვიპოვეთ. არა ერთი მძღოლის მიუხედავად, შს სამინისტროს ადმინისტრაციის უფროსმა შოთა ხიზანიშვილმა და სამინისტროს პრესსამსახურის წარმომადგენელმა ზურაბ გვენეტაძემ ჩვენს სატელეფონო ზარები უპასუხოდ დატოვეს.“ – იუწყება კახეთის საინფორმაციო ცენტრი.

არასამთავრობო ორგანიზაცია „ადამიანის უფლებათა ცენტრის“ იურისტების შეფასებით, მძღოლებისთვის 9 აპრილს რეგიონებიდან თბილისში ხალხის გადაყვანის აკრძალვა მათთვის კანონიერი ქმედების შეზღუდვა და ნების თავისუფლად გამოვლენაში ხელშეშლაა, რაც საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით დასჯადია. თუმცა, ამავე იურისტების თქმით, პოლიციის თანამშრომლებს ამისათვის არა თუ დასჯიან, არამედ, დავალების საუკეთესოდ შესრულების შემთხვევაში, დააწინაურებენ.

ურჯიუნო აღამიანი მარტოობისას მსოფლიო სიკვდილზე ფიქრობს...



ფილმ "მონანიებაში" გაულერებული ეს ამბავი ფრაზა კიდევ ერთხელ მიანიშნებს, რომ მკვლელობა ისეთი მიმდევრული დანაშაულია, რომელსაც მკვლელის მომავალი თაობებიც კი ვერ მოინანიებენ. მკვლელობა თავისთავად საშინელებაა, მაგრამ ყველაზე დიდი საშინელება და ამბავი ჩემდებოა გახლავთ ის, რომ დედას მოუკლავ ერთადერთ ვაჟს, და ერთ წამში დაუკარგავ აზრს მის სიცოცხლეს.

ასეთი დედა წამსვე იქცევა უბედურ არსებად, რომლისთვის სიკვდილი ყველაზე სასუკარო და სანატრელია.

მაინტერესებს, რას განიცდიდა სიკვდილის წინ სანდრო გირგვლიანის დედა – ქალბატონი ირინა ენუქიძე, რომელიც სწორედ შვილზე დარდმა გადაიყოლა. ალბათ იმ იმედით დასტოვა ეს ცოცხალი წუთისუფლი, რომ საკუთარ შვილთან მიდიოდა, მოუვლიდა, თმებზე ხელს გადაუსვამდა... ვინ იცის!

კაცისგან წყველა არ ეგების, მაგრამ ყველას, ვინც ირინა ენუქიძის ცოლად შევიდა, ქართველმა ხალხმა წყველა და

ზიზღი უნდა გაუკზავნოს, თითო სანთელი უნდა დაანთოს იმისათვის, რომ ამ წყველამ და ზიზღმა ადრესატი იპოვოს. სანდრო გირგვლიანი მკვლელებმა და მკვლელობის შემკვეთებმა უნდა იცოდნენ, რომ მათი ადგილი საქართველოში არ არის, რომ მათ ახლავე უნდა დასტოვონ საქართველო, რათა თავიანთი უღელქური ყოფა გაიხანგრძლივონ, თორემ, ერთი წამით თუ წარმოიდგენიათ, რა დღეში ჩაყრის მათ ქართველი ხალხი სააკაშვილის ხელისუფლების თავიდან მოშორების შემდეგ. ხოლო ის, რომ სააკაშვილის ხელისუფლება ქართველი ხალხის მტერია და ყველა მის პრინციპს ეწინააღმდეგება, იქიდანაც ჩანს, რომ სანდრო გირგვლიანის მკვლელები სააკაშვილს შეუწყალებია (რაც სასჯელის განახლებებში გამოიხატა). ამ საკითხს უთმობს ყურადღებას ქართული მსხმედი.

მიუხედავად საზოგადოებრივი აღშფოთებისა, სააკაშვილმა კიდევ ერთხელ ჩააფურთხა ქართველ ხალხს სულში და მკვლელებს თავისუფლება უბოძა, რაც ბევრ რამეზე მეტყველებს.

პირველ ყოვლისა ეს არის ერთგვარად ვალის გადახდა ამ ოთხი მსჯავრდებულისათვის, იმისათვის, რომ იტვირთეს ამ დანაშაულის სიმძიმე და არ გათქვას თანამონაწილეები. ამ პირებში იგულისხმებიან სანდრო გირგვლიანის მკვლელობის დღეს "მარდენბარში" მყოფი შინაგან საქმეთა სამინისტროს ფავორიტები დათა ახალია, ვასილ სანოძე, ოლეგ მელნიკოვი, გურამ (გურგენ) დონაძე და შინაგან საქმეთა მინისტრის მეუღლე თაკო სალაყაია-მერაბიშვილი. საქმის მასალებიდან გამომდინარე, ეს პირები დანაშაულში თანამონაწილეებად იმხილებიან. ეს შეწყალება იყო ვალის გადახდის აქტი დემილის საფასურად.

წყველიმც იყოს ყველა მკვლელები და მათზე ხელის დამფარებელი!

მეორე მნიშვნელოვანი ფაქტორი ხელისუფლების შიში გახლავთ. ეტყობა, მართლა ძალიან გაუჭირდა და ამ მიმდევრული ვითარებაში სურს გვერდით ჰყავდეს ის პირები, რომლებიც უპირობოდ შეასრულებენ ხელისუფლების ნებისმიერ ბინძურ დავალებას, თუნდაც ეს

სხვა აღამიანის სიცოცხლის მოსპობას გულისხმობდეს.

ხელისუფლებამ ამ უგუნური გადაწყვეტილებით კიდევ ერთხელ თავხედურად გამოიწვია ქართული საზოგადოება. როგორც ჩანს, ხელისუფლებას არ ესმის, რას ითხოვს მისგან საზოგადოება. კანონით, მიმდევრული დანაშაულში მსჯავრდებულ პირთა შეწყალება დაუშვებელია და მკვლელობებში, მკვლელობის მცდელობასა და ყანადლობაში ბრალდებულთა საკითხს შეწყალების კომისია არც კი განიხილავს. მიუხედავად ამისა, პროკურატურამ "პრივილიგიზებული პატიმრების" შესაწყალებლად პრეზიდენტთან პირდაპირ გზა გამოძებნა. იმ სკანდალურ და მკაცრად გასაიდუმლოებულ სიაში, რომელსაც პრეზიდენტმა ნოემბერში ხელი მოაწერა, კონსტიტუციური უსაფრთხოების დეპარტამენტის ხელმძღვანელის, სოსო თოფურიძის შვილიც არის შეყვანილი. თოფურიძის ვაჟი სასჯელს მკვლელობის მცდელობისათვის იხდიდა (მიუხედავად იმისა, რომ დაჭრილი ადგილზევე გარდაიცვალა, თოფურიძის ვაჟი ჯერ მკვლელობის

მცდელობისათვის გაასამართლეს და გავლენიანი მამის წყალობით სააკაშვილმა შეიწყალა კიდევ). როცა ხელისუფლება საზოგადოების კონსოლიდაციაზე, თანასწორობასა და კანონიერებაზე ლაპარაკობს, საინტერესოა, ასეთი ფაქტების შემდეგ როგორღა აპირებს საზოგადოების მხარდაჭერის მოპოვებას? – სვამს პათეტიკურ შეკითხვას ქართველი ჟურნალისტი

ხათუნა პაიჭაძე

მსოფლიო კოლიტივის ლაბირინთებში

"გაშინებონ პოსტი", აშშ დემოკრატიის შუა ბზახე ბაჩხიშვილი ძველანა

ოთხი წლის წინათ აშშ-ს პრეზიდენტმა ჯორჯ ბუშმა საქართველოს "დემოკრატიის შექმნის უწოდება" და მსოფლიოში დემოკრატიის გავრცელების ნიშნად აღიარა. მას შემდეგ, მართალია, საქართველო ძველებურად ავტორიტარული ქვეყანა აღარ იყო, მაგრამ არც დემოკრატიულ ქვეყნად ქცეულა. როგორც ჩანს, ეს სახელმწიფო სადღაც შუაში გაიხიზრა. აქ მოქალაქეები წინანდელზე მეტი უფლებებით სარგებლობენ, მაგრამ ისეთი დემოკრატიული ინსტიტუტები, როგორებიცაა მასშვილი, სასამართლოები, საარჩევნო კომისიები და პოლიტიკური პარტიები, სუსტნი არიან და ცუდად მუშაობენ. ასეთი გაურკვეველი მდგომარეობა საქართველოში სულ უფრო ტიპური ხდება.

გახშირდა საქართველოს პრეზიდენტის კრიტიკაც იმის გამო, რომ მან მთელი ხელისუფლება ხელში ჩაიგდო, ხელს უშლის პარლამენტის, მასობრივი ინფორმაციის საშუალებების, სასამართლოების და სამოქალაქო საზოგადოების მუშაობას, მაგრამ აშშ-დან მხოლოდ კერძო პირთა კრიტიკა ისმოდა. ამერიკის მხარდაჭერამ სააკაშვილისადმი პუბლიცისტური დახმარების გაზრდა გამოიწვია, მაგრამ თითქმის შეწყდა საზოგადოებრივი ორგანიზაციების დაფინანსება, რასაც მათი ფუნქციის შეწყვეტა მოჰყვა. დაზარადა სამოქალაქო საზოგადოებრივი ინსტიტუტებიც. სააკაშვილის ლტოლვეა ავტორიტარიზმისკენ ვერ შენიშნეს არა მხოლოდ დასავლეთში, არამედ რეფორმისტებმა საქართველოშიც.

მიხეილ სააკაშვილმა ასობით კორუმპირებული პოლიციელი და ათეულათასობით სახელმწიფო მოხელე დაითხოვა სამსახურებიდან, შემოიღო სისტემა, სადაც კორუფციამ ბრალდებულნი ბიზნესმენი და მოხელე უზარმაზარ ჯარიმას იხდის სასამართლოდან თავის დასაღწევად. ბიზნესმენთა უმრავლესობა ნაწილობრივ უარსაც ამბობს თავის საკუთრებაზე. ამის წყალობით სახელმწიფო ბიუჯეტი კრიზისს გადაურჩა, მაგრამ ამავდროულად შეიქმნა შთაბეჭდილება, რომ დანაშაულები თავისუფლების ყიდვა ფულით შეიძლება, ხოლო პროკურატურის მუშაკებს – მათთვის ფულის წართმევა.

რუსეთთან ავგისტოს ომის შემდეგ სააკაშვილმა დემოკრატიული რეფორმების "მეორე ტალღის" წამოწყება განიზრახა. ყოფილი პარლამენტის თავმჯდომარე ნინო ბურჯანაძე და სხვები საერთაშორისო სპონსორებისგან სტანდარტების დაწესებას მოითხოვენ, რომლის მიხედვითაც შესაძლებელი იქნება მიღწეული წარმატებების შეფასება. გარდა ამისა, ოპოზიცია მასობრივი საპროტესტო აქციების მოწყობას აპირებს სააკაშვილის გადადგომის მოთხოვნით.

"ნეზავისიმია გახეცა", რუსეთი რატომ "უფვდის ხელს" სააკაშვილი იმდევად

მიხეილ სააკაშვილი ავგისტოს ომის შემდეგ პირველად აღაპარაკა რუსეთთან მეგობრობაზე. საქართველოს გასაბჭოების წლისთავზე მან რუს კოლეგას, დიმიტრი მედვედევს "პირადი სირთულეების" დაძლევა და დიალოგი შესთავაზა. სააკაშვილმა ავგისტოს ომის აქამდე უცნობი დეტალებიც გაახმაურა: მისთვის შეუთავაზებიათ მთავრობის ჩაბარება, არმიის დაშლა და თბილისის დატოვება.

საქართველოს პრეზიდენტის მიერ ოკუპაციის მუხუშეში წარმოთქმული სიტყვა ურთიერთგამომრიცხავი აზრებით იყო სავსე. მან განაცხადა, რომ საქართველოს დღეს ისეთი საშიშროება ემუქრება, როგორც თითქმის ერთი საუკუნის წინ – როცა პირველი რუსული ანექსია მოხდა. ჩამოთვალა ყველა მოვლენა, რითაც რუსეთმა ქართველ პრეზიდენტებს ავნონოე ჟორდანია იძულებული გახდა, კანონიერად მიენიო კომპარტიის ქმედებანი, რამაც 1921 წლის ანექსია გამოიწვია; ზვიად გამსახურდია იძულებული გახდა, ეროვნული გვარდია დაეშალა, ამიტომაც საქართველომ რუსეთის გამკლავება ვერ შეძლო; ედუარდ შევარდნაძემ მოსკოვის კარნახით დანიშნა მინისტრები... სააკაშვილს კი სამხრეთ ოსეთში ავგისტოს ომისკენ უბიძგა.

"მარშან, ავგისტოში, როცა რუსეთმა ჩვენს ქვეყანას შემოუტია, მეც ამგვარ სიტუაციაში აღმოვჩნდი. მაგრამ ჩვენ სისხლის უკანასკნელ წვეთამდე ბრძოლა და სამშობლოს დაცვა გადაწყვიტეთ. ბევრი დაგვარგეთ, მაგრამ არა დირსება", –

აღნიშნა პრეზიდენტმა. რუსეთის მუქარაზე საუბრისას უცერად სააკაშვილმა თქვა, რომ დღეს პირობები ავგისტოსთვის არ არის და მედვედევს პირად წყენაზე მადლა დადგომისა და დიალოგის დაწყებისკენ მოუწოდა. ეტყობა, დაავიწყდა, რომ რუსეთის პრეზიდენტმა მას "პოლიტიკური გვამი" უწოდა და არაერთხელ უთქვამს, სააკაშვილთან მოსალაპარაკებლად არ დაეჯდებიო. "საქართველო მზად არის რუსეთთან თანასწორუფლებიანი თანამშრომლობისთვის იმ შემთხვევაში, თუ ის საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას პატივს სცემს. ჩვენ არ დაგუშვებთ, საქართველოში სამი საუკუნე იყოს – თბილისში, სოხუმსა და ცხინვალში. ჩვენ არ გვინდა გახლენილი დიპლომატიური ურთიერთობები. როცა რუსეთი საქართველოს წინააღმდეგ ეკონომიკურ ემბარგოს ატარებდა, ჩვენ კარი და გული გაგვღვო რუსულ ინვესტიციებს", – განაცხადა სააკაშვილმა და ერთი სიტყვაც არ უთქვამს იმაზე, რომ რუსულ კომპანიებს უარი ეთქვა გაზსადენების, პორტების და რკინიგზების პროვატიზებაზე. თავისი სიტყვა პრეზიდენტმა ჩვეული პასუხით დაასრულა – "საქართველო უჭკველად გახდება ნატოს წევრი!"

მაგრამ უპასუხოდ დარჩა კითხვა – კონკრეტულად ვინ აიძულებდა სააკაშვილს მთავრობის ჩაბარებას, არმიის დაშლას და თბილისის დატოვებას. გაურკვეველი დარჩა ისიც, თუ რის გაკეთებას აპირებს პრეზიდენტი რუსეთთან ურთიერთობის მოსაგვარებლად. მარტო ბიზნესმენების მიპატივება საკმარისი არ არის, მით უმეტეს, რომ რუსეთის კაპიტალი საპროვატიზაციო პროცესებთან შერწყმითი მეთოდით დაიშვება.

ამავე დროს, უნდა ვივარაუდოთ, რომ რუსეთის მიმართ სააკაშვილის რევერანსები შინაურებისთვის არის გამიზნული. შეუძლებელია, არ იცოდეს, რომ ის პირობები, რაც მან მოსკოვს ურთიერთობის გამოსასწორებლად წაუყენა, კრემლისთვის მიუღებელია. საქართველო კვლავ შიდა არასტაბილურობის საფრთხის ქვეშ აღმოჩნდა. – ოპოზიცია ამ გაზაფხულზე პრეზიდენტის გადადგომას ითხოვს და მოსკოვთან დიალოგის აუცილებლობაზე ლაპარაკობს, კატასტროფული მდგომარეობის მთლიანად მას აბრალებს. ამიტომაც

რადაც მაინც უნდა ეთქვა რუსეთთან ურთიერთობის გამოსწორებასთან დაკავშირებით. მან მშვენივრად იცის, რომ ახლო მომავალში ეს შეუძლებელი, სამაგიეროდ, მერე სუფთა სინდისით განაცხადებს, რომ კიდევ ერთხელ გაუწოდა რუსეთს მეგობრობის ხელი, მაგრამ კრემლმა ეს არ დაინახა.

აშშ-ს სამხედრო-საჰაერო ძალებმა კვლავ შეირცხვინეს თავი „ფაინენშელ ტაიმსი“ ამ ფაქტს უწოდებს „სირიის სირცხვილი სამხედრო-საჰაერო ძალებისათვის“. 2006 წელს ამერიკის სამხედრო სარდლობა განმარტავდა, ბომბდამშენმა შეცდომით როგორ გადაუფრინა მთელ ქვეყანას ექვსი ბირთვული რაკეტით ბორტზე.

ამერიკელ სამხედროებს არ შეუძლიათ აღმოაჩინონ ბირთვული რაკეტების ასობით მნიშვნელოვანი დეტალი. ამის შესახებ წერს გაზეთი „ფაინენშელ ტაიმსი“. როდესაც მიუთითებს მთავრობის ჩინოვნიკებზე, რომლებიც იცნობენ პენტაგონის ანგარიშს ბირთვული უშიშროების საკითხზე, ინფორმაცია საბრძოლო მასალების დაკარგვის შესახებ პირველად იქნა ნახსენები ამერიკული ადმირალის კორკლანდ ლონალდის მოხსენებაში, რომელიც წარმოადგენდა იყო კონგრესის დახურულ მოხსენებაზე.

გაზეთის წყაროს ცნობით, პენტაგონის „ფაინენშელ ტაიმსი“ არავითარი მონაცემები არაა იმის შესახებ, რომ დაკარგული კომპონენტები აღმოჩნდა იმ ქვეყნების განკარგულებაში, რომლებსაც ისინი არ უნდა მიეღოთ“. მიუხედავად ამისა, თავდაცვის სამინისტროს ოფიციალურმა წარმომადგენლებმა უარი განაცხადეს ამ ცნობის კომენტარებაზე იმაზე მითითებით, რომ ადმირალის მოხსენება დახურული იყო.

2006 წლის ავგისტოში შეერთებულმა შტატებმა ტაივანში გადაიტანა ბალისტიკური რაკეტების ოთხი სათავო ნაწილი შეუღლებულ მსოფლიო ბატარეების ნაცვლად. ამას გარდა, სარდლობამ დაუშვა, რომ ბომბდამშენი b-52 სამ სათაზე მეტ ხანს დაფრინავდა ამერიკის შეერთებული შტატების ტერიტორიაზე ბირთვული ქობინებით ბორტზე. რაკეტები ბირთვული მუხტებით ჩამოკიდებული იყო ბომბდამშენების ფრთებზე.

რადაც მაინც უნდა ეთქვა რუსეთთან ურთიერთობის გამოსწორებასთან დაკავშირებით. მან მშვენივრად იცის, რომ ახლო მომავალში ეს შეუძლებელი, სამაგიეროდ, მერე სუფთა სინდისით განაცხადებს, რომ კიდევ ერთხელ გაუწოდა რუსეთს მეგობრობის ხელი, მაგრამ კრემლმა ეს არ დაინახა.

გაზეთი "ილორი" უძღვება რეზიპიას "მსოფლიო ჩემპიონატები ფეხბურთში", რომელიც ასახავს მსოფლიო ჩემპიონატების ფინალურ ბატალიებს.

უბეცარია - 1954 წელი

მეორე მსოფლიო ომის დამთავრების შემდეგ, კერძოდ, 1946 წელს ფიფას კონგრესზე მიიღეს გადაწყვეტილება, რომ 1954 წლის მსოფლიო ჩემპიონატი ფეხბურთში გამართულიყო შვეიცარიაში. მსოფლიო ჩემპიონატების მიმართ ინტერესი შესამჩნევად გაიზარდა, რასაც მოწმობდა ამ ჩემპიონატში აზიის (იაპონია, სამხრეთ კორეა) ქვეყნების ჩაბმა. ჩემპიონატის წინ კიდევ ერთი აღსანიშნავი ფაქტი ის იყო, რომ მსოფლიო ჩემპიონატის ფუძემდებელი ფრანგი

ყოფილი რიმი თანამდებობაზე ბელგიელმა როდოლფო სელდრეიერსმა შეცვალა. შვეიცარიაში ვარსკვლავებით დაკომპლექტებული რამდენიმე გუნდი ჩავიდა. მაგალითად, მსოფლიოს 1930 და 1950 წლების მსოფლიო ჩემპიონ ურუგვაის გუნდში გამოდიოდნენ: მეკარე მასპოლი, მცველები: ვარელა და ანდრადე, თავდასხმელები: სკიაფინო და მიგუსი. კარგი გუნდით იყო წარმოდგენილი ავსტრიის ეროვნული გუნდიც. ასევე აღსანიშნავია იუგოსლავიის

ეროვნული ნაკრები, რომელთა რიგებშიც ბრწყინავდნენ: ბოშკოვი, ზებეცი, მიტიჩი, ბეარა და ჩაიკოვსკი. განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია უნგრეთის ეროვნული ნაკრებიც, რომლის რიგებში გამოდიოდნენ ტყავის ბურთის ჯადოქრები: პუშკაში, კოშიჩი, გროშიჩი, პიდგეკუტი და ბოიკი. 19509 წლიდან 1954 წლის ივნისამდე უნგრეთის ნაკრებმა 32 მატჩი გამართა და აქედან 29 მატჩი მოიგო, ხოლო სამი ფრედ დაამთავრა. უნგრელებმა შვეიცარიაში სტარტი მშვენივრად აიღეს. მათ სამხრეთ კორეას 9:0 მოუგეს, ხოლო გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ნაკრებს - 8:3. პირველ ჯგუფში მოასპარეზე საფრანგეთის ნაკრებმა მეოთხედფინალში ვერ გააღწია, ხოლო მისი ადგილი ბრაზილიის და იუგოსლავიის ეროვნულმა ნაკრებებმა დაიკავეს. მე-4 ჯგუფიდან მეოთხედფინალის საგზური ურუგვაიმ და ავსტრიამ მოიპოვა. მე-4 ჯგუფიდან კი შემდეგ ეტაპზე ინგლისი და მასპინძელი - შვეიცარია გავიდნენ. მეოთხედფინალში შვეიცარიელებმა 5:7 დათმეს ავსტრიის გუნდთან. გერმანიის ფედერაციულმა რესპუბლიკამ 2:0 დაამარცხა იუგოსლავია, ხოლო ურუგვაის გუნდმა 4:2 სძლია ინგლისს. შემდეგ მეოთხედფინალურ მატჩში უნგრელებმა 4:2 სძლიეს ბრაზილიის ნაკრებს. პირველ ნახევარფინალურ მატჩში გერმანიამ 6:1 მოუგო ავსტრიას, უნგრელებმა კი შვეიცარიელებს სძლიეს 4:2. მესამე ადგილისათვის მატჩი მსოფლიოს ექს-ჩემპიონებმა



ურუგვაელებმა 3:1 დათმეს ავსტრიელებთან, რომელთაც ბრინჯაოს მედლები მოიპოვეს. 1954 წლის 4 ივლისს შვეიცარიის დედაქალაქ ბერნში გამართა ჩემპიონატის ფინალი, რაც მართლაც შესანიშნავი გამოდგა. უნგრელთა გამარჯვებაში ეჭვი არავის ეპარებოდა. თამაშის დაწყებიდან რვა წუთი იყო გასული და უნგრეთი უკვე 2:0 იგებდა. თუმცა გერმანელმა ფეხბურთელებმა ფარხმალი არ დააჩერეს და მატჩის მე-19 წუთისათვის რანმა ანგარიში გაათანაბრა. თამაშის დამთავრებამდე 6 წუთით ადრე რანმა მორლოკისგან მიიღო ბურთი, დაამუშავა და დაარტყა. გროშიჩის ნახტომმა წამით დაიგვიანა და გერმანელები დაწინაურდნენ.

დარჩენილი ექვსი წუთი უნგრელები გრიგალისებურად უტევენდნ და პიდგეკუტმა გაიტანა კიდევ გოლი, მაგრამ, მსაჯმა თამაშს არე მდგომარეობის გამო იგი არ ჩათვალა. გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ნაკრები პირველად გახდა მსოფლიო ჩემპიონი. აღნიშვნის ღირსია გერმანელთა მწვერთელი ზეპ ჰერბერგერი, რომელმაც მაქსიმალურად მომზადებული გერმანიის ნაკრები ჩემპიონად აქცია. ამრიგად, მსოფლიოს მე-5 ჩემპიონი გახდა გუნდი, რომელმაც 10 წლის წინ წააგო დიდი ომი. ეს გამარჯვება გერმანიისათვის პოლიტიკურ და ეკონომიკურ წინსვლად იქცა, რაც მომავალში დაამტკიცა კიდევ.

გ.ჯალაღანი

ბომბარდირები
შანდორ კოშიჩი (უნგრეთი) - 11 ბურთი;
მაქს მორლოკი (გერმანია) - 6 ბურთი;
ერიკ პრობსტი (ავსტრია) - 6 ბურთი.
ჩემპიონატის სიმბოლური ნაკრები
გროშიჩი (უნგრეთი), ჯალმა სანტოსი (ბრაზილია), ბირნი (ინგლისი), ლიბრიხი (გერმანია), ბოიკი (უნგრეთი), ანდრადე (ურუგვაი), ციბორი (უნგრეთი), ფვალტერი (გერმანია), კოშიჩი, პუშკაში (ორივე უნგრეთი), ბორხესი (ურუგვაი).
ფინალი
გფრ - უნგრეთი 3:2 (2:2)
04.07.1954წ. "გადრფშტადიონ"
65.000 მაყურებელი.
მსაჯები: ულინგი (ინგლისი), ბ.მ.გრიფიტი (უელსი), გორლანდინი (იტალია).
გფრ: ტურევი, პოსპალი, კოლმეიერი, ეკელი, ლიბრიხი, მაი, რანი, მორლოკი, ოვალტერი, ფვალტერი (კაპიტანი), შეფერი.
უნგრეთი: გროშიჩი, ბუზანსკი, ლორანტი, ლანტოში, ბოიკი (კაპიტანი), ზაქარიაში, ტიბორი, კოშიჩი, პიდგეკუტი, პუშკაში, მ. ტოტი. გოლები: პუშკაში (6), ციბორი (8), მორლოკი (10), რანი (19,84).

ვენერა გლობალურმა დათბობამ გაანადგურა

ვეროლის კოსმოსური სააგენტოს "ესას" სპეციალისტებმა ამ ცოტა ხნის წინათ თანამგზავრ "ვენუს ექსპრესის" მიერ ღია კოსმოსში გადაღებული ახალი ფოტოები მიიღეს, რომელთა გაანალიზების შემდეგ დაადგინეს, რომ პლანეტა ვენერა, თურმე, გლობალურ დათბობას მნიშვნელოვნად დაუზარალებია და შეიძლება ითქვას - გაუნადგურებია კიდევ. ვენერაზე გადარეული ერთ დროს ვენერა თავისი ბუნებით დედამიწას საოცრად ჰგავდა, მაგრამ გლობალური დათბობის შედეგად, რომელსაც სამყაროსათვის უდიდესი პრობლემები მილიონობით წლის წინაც შეუქმნია, პლანეტა

სერიოზულად გადასხვაფერებულა - წყალი აორთქლებულა, ატმოსფეროს სიმკვრივე გაზარდია და ვენერა გაავრავრებულ ჯოჯოხეთად ქცეულა, სადაც სიცოცხლის არსებობა, უბრალოდ, შეუძლებელი იქნებოდა. ხომ არ ელის გლობალური დათბობის მიზეზით მსგავსი ბედი დედამიწასაც? ასტრონომები ამბობენ, რომ ვენერა ძალიან წააგავს დედამიწას. პლანეტებს აქვთ თითქმის ერთნაირი ნიადაგის შემადგენლობა და წიაღის შინაგანი აგებულება, ამასთან, მათი მასაც კი ფაქტობრივად ერთმანეთის მსგავსია. "ვენერა მზისგან დახლოებით იმ რაოდენობის სითბოს იღებს, როგორსაც დედამიწა" - ამბობს "ესას" წამყვანი სპეციალისტი დუმილა ზასოვა.

გამორიცხული არ არის, კლიმატური პირობები პოლუსებზე მაინც იდენტური იყოს, თუმცა ამის დამამტკიცებელი საბუთების მოპოვება, ჯერჯერობით, ვერ ხერხდება. ამდენად, რთული სათქმელია, გაიხიარეს თუ არა დედამიწა იმავე ბედს, რაც ვენერას შეემთხვა? საბედნიეროდ, გლობალური დათბობა, ყოველ შემთხვევაში, ჯერჯერობით მაინც, ფატალურ შედეგებს არ გვიქადას, რადგან ასე რომ იყოს, მეცნიერები ამის თქმას ნამდვივად არ მოერიდებოდნენ, თუნდაც იმიტომ, რომ წარსულშიც არაერთხელ გაუხუთქვეთ ადამიანებისთვის გული თავიანთი გათვლებით და პროგნოზებით. მოკლედ, ჯერჯერობით, მშვიდად ძილის საშუალება ნამდვილად გვაქვს...

იამორი

ორი ნარკომანი ცათამბჯენის სახურავზე დგას.
 - შენი აზრით, აქედან რამდენ ხანს იფრენ?
 - ალბათ, ხუთი დღე.
 - როცა ჩავფარდები, მოგვედები?
 - აბა, ხუთი დღე საჭმლისა და წყლის გარეშე რა გაგაძლებინებს!

მდივანმა ქალმა ბაგში გააჩინა. შეფმა მოადგილე გამოიძახა და ეუბნება:
 - აქ ჭორი გაგრცვლდა, თითქოს მდივანი ქალის ვაჟი წყლის წვეთით მგავს. წადი, გამოარკევი და მომასხენე.
 მოადგილე წავიდა. ორი საათის შემდეგ დაბრუნდა და შეფს მოახსენა:
 - ბაგში ზედგამოჭრილი თქვენა ხართ - თქვენსავით პატარაა, მელოტი, სქელი, არაფრის აზრზე არაა და მხოლოდ ყვრილი იცის...

ერთი ინგლისელი პიანისტი საგასტროლო მოგზაურობაში იმყოფებოდა ახლო აღმოსავლეთში. იგი მოულოდნელად დაბრუნდა სამშობლოში. როცა ცნობილმა დირიჟორმა ტომას ბიჩემმა გასტროლების შეწყვეტის მიზეზი პიანისტმა უპასუხა:
 - იცით, არაბებმა ორჯერ მესროლეს!
 - რას ამბობთ, - გაიკვირვა ბიჩემმა, - ნუთუ არაბები ასე კარგად ერკვევიან მუსიკაში?

რუსეთში შეიქმნა სპეციალური ყუმბარსატყორცნი

მეკობრეობის თემაზე ახლა მთელი მსოფლიო მსჯელობს. რუსებმა „ბაზალტის“ საწარმოდან გადაწყვიტეს მეკობრეებთან ბრძოლაში გამოიყენონ ყუმბარსატყორცნი. საერთოდ, „ბაზალტის“ პროდუქცია კარგადაა ცნობილი. დივერსიის საწინააღმდეგო ყუმბარსატყორცნი რუსებს შეიარაღებაში აქვთ 90-იანი წლების შუა პერიოდიდან. „ამ ყუმბარსატყორცნის განსხვავება ისაა, რომ ის შეიძლება გამოიყენო როგორც ნებისმიერი სასროლი იარაღი. ეს ნიშნავს, რომ შეიძლება ისროლო ნახევრად დახურული შენობიდან, რაც მეტად მნიშვნელოვანია, გემიდან, კატარდიდან, წყალქვეშა ნავიდან და შეუუღმფრენიდანაც კი“, - განმარტა „ბაზალტის“ მთავარმა კონსტრუქტორმა ნიკოლაი სერგევი.

მასთან სიცოცხლეა ხელჩაქნეული მილიან გამოჯანმრთელებული ბუნებრივი

ბაზნიკის პრეპარატი არქანს

ავთვისაბინ სიმსივნურ დაავადებას, აუზ-ნაწლავის ბავშვობას, აოლიტს, ფისბულას, პროსტატის, ბანსილს, ნივრის ანთიზას, ნივრის, ფსიქიკურ დაავადებებს, პარკინსონს, ასთმას, რივს, ბალისა და თირკმელის დაავადებას, სპონდოლოზს, თირკმელის, შარბანს გაუნებელი სალაროუს და მიდს, შვალის ცირკულარ დაგლას, ყარაბიდან ჩირაღანს, ოსტოოპოროზს, ბიომორბის, სისხლის ბათობას, სეპსის, ბობალოზს, ბაბარკალოზს, ციროზს I და II სტადიებში, C-ჰეპატიტს, ბობანს, ელენთის, ნაწლავის ბაბის დაავადებას, ანთიბი პროვინას, ჰაშიმიტის, ალიბას, ფ-ლულს, ფსორიუსს, სხსრების დაავადებას, ენოლუსინს, აშარკას იზანიბას, ახლან თავის ბინის უჩრადების აღდგან-მანარენას, დაღობითა მოქმედებს სპსაულარ დარღვევებზე და ნარკობიკანთან დამოკიდებულებებზე.

აკორდინაბია:

თელავი, აპსასიონის ქაჩა №61-ბ, ბაზნიკა ბიჭინო (დომანბი). ტელ: 893-22-66-51 8(250) 7-61-24 თბილისი, დინამოპროცენტის 120 ბათუმი, ასათიანის 11, (ორგზბათს, ოთხგზბათს და პარსაპს, 10-დან 14 საათამდე).

<p>გაზეთში გამოქვეყნებული პუბლიკაციის ავტორებს უკისრებათ პასუხისმგებლობა ფაქტებისა და მონაცემების სიზუსტეზე</p>	<p>რედაქციის მისამართი: თბილისი, ტაბიძის ქუჩა №23</p>	<p>მთავარი რედაქტორი: როლანდ ჯალაღანი მთ. რედაქტორის მოადგილე: ღავით ქობალაძე ტექნიკური რედაქტორი: მიხეილ ჩოლოყიშვილი</p>	<p>anaklia@web.de e-mail:elisabeththal@yahoo.de ჩაქალაქის განთავსება 923-758</p>
---	--	--	---